Cimbala and Rainow, *Russia and Postmodern Deterrence*, x–xiii. See also Kiselev, 'Distantsionnoe protivoborstvo'.

Robert Kagan. *Putin Makes His Move Monday*, August 11, 2008.

CAST, 'Preliminary Results of Russia's Arms Trade in 2007'; *Nezavisimoe voennoe obozrenie*, 'Dengi reshait ne vse'.

Wikipedia.

Carolyn Kissane, academic director at NYU's Center for Global Affairs, 13 July

⁵⁶ Allen C. Lynch: *The Realism of Russia's Foreign Policy* 2001: p.8

⁵⁷ *Ibid*, p.10

⁵⁸ Carmen Amelia Gayoso Descalzi. *Russian hegemony in the CIS region: an examination of Russian influence and of variation in consent and dissent by CIS states to regional hierarchy*. The London School of Economics and Political Science. London, October 2011: p. 52

⁵⁹ Allen C. Lynch: *The Realism of Russia's Foreign Policy* 2001: p.25

სამხრეთ კავკასიის ახალი გადაწვევა - რუსეთის თანამედროვე დილემა

ემილია ალავერდოვი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
ასოცირებული პროფესორი

ანოტაცია

ნაშრომი ეხება სამხრეთ კავკასიაში განვითარებულ ბოლოდროინდელ მოვლენებს, რომელმაც საფრთხის ქვეშ დააყენა მთელი რეგიონი. სტატია აანალიზებს სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის ექვსკვირიან შეიარაღებულ შეტაკებას, რომელიც დაიწყო მიმდინარე წლის 27 სექტემბერს და დასრულდა 10 ნოემბერს სამხრეთი ხელშეკრულების ხელმოწერით მოსკოვში, და ცხადყოფს (ცხადყოფს), რომ სამხრეთ კავკასიის რეგიონი გახდა ისეთი დიდი პოლიტიკური აქტორების ინტერესების გატარების მსხვერპლი, როგორცაა რუსეთი და თურქეთი. მართალია, აზერბაიჯანმა შეძლო თავისი შვიდი რეგიონისა და მთიანი ყარაბაღის ნაწილის დაბრუნება, მაგრამ, როგორც ჩანს, ერთადერთი გამარჯვებული ამ სისხლიან მოვლენებში, რომელმაც ორივე მხრიდან რამდენიმე ათასი ახალგაზრდის სიცოცხლე შეინირა, მხოლოდ რუსეთია. ეს ფაქტი ნათლად ჩანს იქიდან, რომ სამხრეთ ცეცხლის შეწყვეტის შესახებ ხელშეკრულებას ხელი ზუსტად მოსკოვში მოეწერა, რის შედეგადაც რუსული ჯარი რეგიონში სამშვიდობო მისიის სტატუსით შემოვიდა. ამით მოსკოვმა აჩვენა, რომ ის კვლავ შეუცვლელი ძალაა რეგიონში.

THE NEW REDISTRIBUTION OF THE SOUTH CAUCASUS - RUSSIA'S MODERN DILEMMA

EMILIA ALAVERDOV
Georgian Technical University
Associate Professor

ANNOTATION

The paper deals with the most recent acute events which took place in the South Caucasus and put under a threat the whole region. It analyzes the recent six-week long-armed clashes between Armenia and Azerbaijan around Nagorno Karabakh. Stared on September 27 of the current year and finished (at a present stage) by the signing the trilateral peace treaty agreement in Moscow, on 10 November, shows that the South Caucasus region became a victim of the pursuit of the personal strategic interests of such big political actors as Russia and Turkey. Azerbaijan has indeed managed to return its 7 regions and a part of Nagorno Karabakh, however, it seems that the only winner in these bloody events which took lives of more than a few thousand youngsters from both sides is only Russia. It is obvious from the fact that the treaty itself was signed in Moscow and the Russian troops enter the region under the status of peacekeepers, Moscow demonstrated that it remains an indispensable force in the region.

შესავალი

კავკასია წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე რთულ და ფეთქებადსაშიშ რეგიონს რუსეთის ფედერაციისთვის. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ პოსტ-საბჭოთა რესპუბლიკებში დაიწყო მრავალი სახის კონფლიქტი: ეთნო-რელიგიური - ჩეჩნეთის რესპუბლიკის კონფლიქტის შემთხვევაში, როგორც ამას თვითონ რესპუბლიკის პირველმა პრეზიდენტმა ჯოხარ დუდაევმა უწოდა; ეთნო-ტერიტორიული კონფლიქტები აზერბაიჯანელებისა და სომხებისა და ქართულ-ოსური და ქართულ-აფხაზური კონფლიქტების შემთხვევაში. აღსანიშნავია, რომ სიტუაცია ჩრდილოეთ კავკასიაში მეტ-ნაკლებად სტაბილურია, თუმცა, სამხრეთ კავკასია კვლავ განიცდის მტრულ და დაძაბულ ატმოსფეროს და სახეზე გვაქვს ან უკვე შეწყვეტილი, თუმცა მაინც მოუგვარებელი მთიანი ყარაბაღის კონფლიქტი. უნდა ითქვას, რომ ყარაბაღის კონფლიქტი არა მხოლოდ მთელი რეგიონის უსაფრთხოებას ემუქრება, არამედ თვით რუსეთის ფედერაციის პანდორის ყუთად იქცა, რადგან მას სტრატეგიული პარტნიორობა აქვს ორივე რესპუბლიკასთან. ამასთან, ბოლოდროინდელ მოვლენებამდე აშკარად იკვეთებოდა სომხეთის ანტირუსული რიტორიკა და აზერბაიჯანის დაახლოვება თურქეთთან. რუსეთ-თურქეთის

გავლენის სფეროების გადანაწილების მიზნით შენიღბულ ბრძოლასა და სომხეთ-აზერბაიჯანის პრეზიდენტების არადიპლომატიურ ნაბიჯებს, რამაც იმსხვერპლა უამრავი ახალგაზრდის სიცოცხლე, შედეგად მოჰყვა კავკასიის რეგიონში რუსეთის ჯარის განთავსება. აქვე უნდა ხაზი გავუსვათ იმას, რომ თურქეთსაც აქვს იგივე მცდელობა და რამდენად გამოუვა უახლოესი მომავალი გვაჩვენებს.

მეთოდოლოგია

ნაშრომი ძირითადად ემყარება სიტუაციურ და შინაარსობრივ ანალიზს, აღწერით მეთოდსა და პოლიტიკური შინაარსის დოკუმენტების ანალიზს. სტატიის საფუძველს წარმოადგენს გამოქვეყნებული ლიტერატურა, სამეცნიერო ნაშრომები და ოფიციალური დოკუმენტები).

შედეგი

ამრიგად, სამხრეთ კავკასიის ქვეყნებმა დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ძალზე რთული გზა გაიარეს. კავკასიის ყველა ქვეყანა ეკუთვნის ახლად დაარსებულ ქვეყნებს მათი განვითარების შიდა პოლიტიკითა და ჯერ კიდევ გაურკვეველი საგარეო პოლიტიკის მიმართულებებით, რაც მოითხოვს ძალიან ფრთხილ და დაბალანსებულ მიდგომას. (Rumer, Sokolsky, Stronski, 2017).

შესაბამისად, რუსეთისთვის ამ რეგიონთან ურთიერთობა ძალზე მნიშვნელოვანია, მაგრამ ამავდროულად, საკუთარი მესახელმწიფოებრივი ამბიციებიდან გამომდინარე, ვერ მოახერხა რეგიონის ქვეყნებთან ურთიერთობების დალაგება.

აქვე უნდა ავღნიშნოთ რომ, მთელი სამხრეთ კავკასია გარდაიქმნა პოლიტიკურად დაძაბულ და ეკონომიკურად არასტაბილურ რეგიონად, სადაც შეიარაღებული კონფლიქტები სერიოზულ საფრთხეს უქმნის რუსეთის სახელმწიფოს უსაფრთხოებას, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ კონფლიქტებში თუნდაც ირიბად მონაწილეობენ უცხოელი აქტორები და სადაც იკვეთება ისეთი დიდ ქვეყნების ინტერესები, როგორცაა რუსეთი, ამერიკის შეერთებული შტატები და თურქეთი (Shireen, 2017).

რასაკვირველია, რუსეთი არასდროს დაუშვებს ჩრდილოატლანტიკური ორგანიზაციის საზღვრების მიახლოებას მის საზღვართან და ყველაფერს გააკეთებს იმისთვის, რომ ნებისმიერი კავკასიური რესპუბლიკის სურვილი ჩაახშოს ამ საკითხთან მიმართებაში. 1916 წლის 1 დეკემბერს დამტკიცებულ რუსეთის საგარეო პოლიტიკის დოქტრინაში, ცალსახად და ხაზგასმით ნათქვამია, რომ ქვეყნის მიზანია უზრუნველყოს მისი უსაფრთხოება, სუვერენიტეტი და ტერიტორიული მთლიანობა და რომ ყველაფერს გააკეთებს იმისთვის, რომ იყოს საერთაშორისო სისტემის ერთ-ერთი გავლენიანი ცენტრი. რაც შეეხება ნატოსთან ურთიერთობის პოლიტიკას, ის აცხადებს, რომ რუსეთი უარყოფითად განიხილავს ალიანსის გაფართოებასა და რუსეთის საზღვრებთან მიახლოებას, ამასთან, ნათქვამია რომ, ის სიფრთხილისა და ეჭვის თვალთ უყურებს ნატო-ს სამხედრო საქმიანობას და მისი სამხედრო ტექნიკის განთავსებას რუსეთის საზღვრებთან ახლოს (Ministry of Foreign Affairs of Russian Federation 2016).

დისკუსია

კავკასია აღიქმება როგორც ერთ-ერთი გამონწვევა და ცხელი წერტილი რუსეთის ფედერაციისთვის, მისი რთული ხასიათით, გეოგრაფიული მდებარეობითა და ტერიტორიული დავებით. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, მთელი კავკასია (ჩრდილოეთი და სამხრეთი) შეგვიძლია ვთქვათ რომ, იმყოფება არასტაბილურ და ქაოტურ ვითარებაში და არის ძალიან დინამიური და ფეთქებადსაშიში რეგიონი, თავისი ხანგრძლივი კონფლიქტებითა და საომარი მოქმედებებით. საბჭოთა კავშირის დაშლისთანავე რუსეთის ფედერაციას დაუყოვნებლივ შეექმნა ისეთი პრობლემები, როგორცაა რელიგიური რენესანსი და ფუნდამენტალიზმი, ნაციონალიზმი, ტერიტორიული მთლიანობა და დავა მეზობლებს შორის. აქვე აღნიშნულ უნდა იქნას, რომ საბჭოთა კავშირის დაშლისთანავე აქტიურ ფაზაში შევიდა რელიგიური რენესანსი და ფუნდამენტალიზმი, რასაც მოჰყვა რუსეთ-ჩეჩენეთის ომები და დაღესტნის ცნობილი მოვლენები, რამაც სერიოზული საშიშროება და საგარეო პრობლემები შეუქმნა რუსეთს, და ეს უკანასკნელი მთელი კავკასიის რეგიონთან ერთად, რელიგიური ფუნდამენტალიზმის რეალური საფრთხის ქვეშ აღმოჩნდა. ამ მოვლენებმა რუსეთს შიდა პრობლემები იმიტომ მოუტანა, რომ ეს ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკები იყვნენ და დღესაც არიან რუსეთის ფედერაციის შემადგენელი ნაწილები, ხოლო რაც შეეხება საგარეო ურთიერთობებს, აქ უკვე რუსეთ-ჩეჩენეთის ომის გამო მთელმა რიგმა ევროპულმა სახელმწიფოებმა და მათ შორის ამერიკის შეერთებულმა შტატებმაც დაგმო რუსეთის ქმედება ჩეჩენეთში, რამაც რუსეთის ჯერ არ დალაგებული საგარეო ურთიერთობების გაფუჭება გამოიწვია. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ჩეჩენეთის ომებში უცხო ძალები იყვნენ ჩერთულნი, ამის ნათელი მაგალითია საუდის არაბეთის მეომრის, საველე მეთაურის იბნ ალ-ხათაბისა და მისი მოკავშირეების მიერ ჩადენილი ქმედებები (Alaverdov, 2020).

სომხეთის წინა მთავრობამ, სერჟ სარქისიანის მეთაურობით, ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ შეენარჩუნებინა ქვეყნის "ნაწილობრივ თავისუფალი" დანიშნულება Freedom House-სგან (Nixey, 2010), ხოლო ურთიერთქმედების ფრთხილად დაკალიბრებული კურსი გაატარა როგორც რუსეთთან, ასევე დასავლეთთან. აგრეთვე გამოიყენა დიპლომატია და თავი აარიდა აზერბაიჯანთან შეიარაღებულ შეტაკებას, თუმცა, რამდენიმე ინციდენტი მაინც მოხდა. მაგრამ, ხვეწდროვანი რევოლუციის შემდეგ ნიკოლ პაშინიანის ხელისუფლებაში მოსვლისთანავე, ქვეყნის მიმართულება მკვეთრად შეიცვალა და ანტირუსული ტალღა აგორდა.

რაც შეეხება აზერბაიჯანის საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტს, მის საგარეო დოქტრინაში წერია, რომ ქვეყანა მიზნად ისახავს მეზობელთან კარგი, მეგობრული, სტრატეგიული და ურთიერთსასარგებლო ურთიერთობების განვითარებას და ცდილობს ინტეგრაციისა და თანამშრომლობას ევროპულ და ტრანსატლანტიკურ კავშირებში (Supreme Court of the Republic of Azerbaijan, 2009). აღსანიშნავია, რომ აზერბაიჯანი ამჟამად ატარებს დელიკატურად დაბალანსებულ პოლიტიკას რუსეთსა და თურქეთს შორის (Nabiyev, 2017). თუმცა, რაც შეეხება დასავლეთთან ურთიერთობას, ბოლო მოვლენებმა ცხადყო, რომ ქვეყანას ურთიერთობა საკმაოდ გაუფუჭდა ევროპის რამდენიმე ქვეყანასთან, ძირითადად

საფრანგეთთან (Dogru, 2020) და ის თავის ეგრედ წოდებულ მოძმე ქვეყანას - თურქეთს დაუახლოვდა, რომელიც არის ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციის წევრი და ღიად ერევა მის საშინაო საქმეებში (The Arab Weekly, 2020). თუ რა დოზითა და მიზნით დაუახლოვდა ეს ორი ქვეყანა და აცხადებენ, რომ ისინი ერთი ერის ორ ქვეყანას წარმოადგენენ, უახლოესი მომავალი გვაჩვენებს.

დასკვნა

ნაშრომში გაანალიზებულია ისეთი დინამიური და რთული რეგიონის მნიშვნელობა, როგორცაა სამხრეთ კავკასია და ისეთ დიდ მოთამაშეთა და სახელმწიფოთა მტკიცე და კონკურენტული სტრატეგიული ინტერესები, როგორცაა რუსეთის ფედერაცია და თურქეთი. ბოლოდროინდელმა მოვლენებმა ცხადყო, რომ რეგიონი იქცა დიდი პოლიტიკური მოთამაშეების ინტერესების სფეროს გატარების მსხვერპლად. აზერბაიჯანისა და სომხეთის ბოლო საომარმა მოქმედებებმა უფრო დაასუსტა კავკასიის უსაფრთხოება და შედეგად რეგიონში რუსეთის ჯარი შემოიყვანა. აქვე აღსანიშნავია, რომ თურქეთის არმიის შემოსვლას, რასაც დიდი სიხარულით ელოდება აზერბაიჯანი, აქ სიტუაცია უფრო რთულდება, ვინაიდან რუსეთის საგარეო დოქტრინის 71-ე პუნქტში ცალსახად არის განწერილი, რომ იგი ძალ-ღონეს არ დაიშურებს, რათა ნატოს წევრი ქვეყანის ჯარი რეგიონში არ შემოუშვას.

რაც შეეხება თურქეთს, მისთვის ყარაბაღის ომი იყო სტრატეგიულად მნიშვნელოვანი, სადაც მან სამხრეთ კავკასიაში ანკარის მზარდი როლის ჩვენება დააფიქსირა. ამავდროულად, ამ ომში ერთადერთი გამარჯვებული ჯერჯერობით რუსეთი აღმოჩნდა. მართალია, ომმა აჩვენა თურქეთის გავლენის ზრდა კავკასიაში, თუმცა, მოსკოვს რეგიონში გადამწყვეტი ძალის შანსი ჩაუგდო ხელში, და ბოლოს, მოსკოვმა აჩვენა ყველას, რომ იგი კვლავ შეუცვლელი ძალაა რეგიონში და შეძლო შეენარჩუნებინა კავშირი როგორც აზერბაიჯანთან ისე სომხეთთან, ხოლო თურქეთი მეორე ხარისხოვან ძალად გამოაჩინა.

საკვანძო სიტყვები:

რუსეთი, თურქეთი, სამხრეთ კავკასია, რეგიონი, საფრთხე.

KEYWORDS:

Russia, Turkey, South Caucasus, Region, Threat.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Alaverdov, E. (2020). The Politicization of Islamic Society in Post Soviet Russia. Wroclaw: Journal of Education Culture and Society.
2. The Arab Weekly, (2020). France accuses Turkey of 'military involvement' in Azerbaijan. Retrieved from <https://the arabweekly.com/france-accuses-turkey-military-involvement-azerbaijan>
3. Dogru, A. (2020). Azerbaijani Official Slams France's Stance on Karabakh. Retrieved from <https://www.aa.com.tr/en/azerbaijan-front-line/azerbaijani-official-slams-france-s-stance-on-karabakh/1998778>
4. Ministry of Foreign Affairs of the Russian Federation (2016). Foreign Policy Concept of the Russian Federation (approved by President of the Russian Federation Vladimir Putin on November 30, 2016).
5. Nabyev, B. (2017). Azerbaijan as an Important Geopolitical Center of the South Caucasus in the Politics of the Leading States of the World and Region. Baku: Baku State University.
6. Nixey, J. (2010). The South Caucasus: Drama on Three Stages. America and a Changed World. Issue # 7.
7. Rumer, E., Sokolsky, R., Stronski, P. (2017). U.S. Policy toward the South Caucasus. Moscow: Carnegie Endowment for International Peace.
8. Shireen, T. (2017). The New Geopolitics of the South Caucasus Prospects for Regional Cooperation and Conflict Resolution. Maryland: Lexington Books. Lanham.
9. Supreme Court of the Republic of Azerbaijan. (2009). The Priorities of the Foreign Policy of the Republic of Azerbaijan. Baku.
10. Vardishvili, G., Panchulidze, E. (2017). Visa Liberalization for Georgia: What's Next? Tbilisi: Georgian Institute of Politics. Issue # 5.

სამხედრო მეცნიერების პრიორიტეტები საქართველოში (სამხედრო საინჟინრო ორგანიზაცია)

ვიცე-პოლკოვნიკი ზეზვა ნავერიანი

სამხედრო ინჟინერიის დოქტორანტი
სამოქალაქო და სამრეწველო მშენებლობის დეპარტამენტი, სამშენებლო ფაკულტეტი, საქართველოს
ტექნიკური უნივერსიტეტი

ხელმძღვანელი: ელგუჯა მეძმარიასვილი

სამხედრო მეცნიერებათა დოქტორი, ტექნიკური მეცნიერებათა დოქტორი, აკადემიკოსი. საქართველოს
ტექნიკური უნივერსიტეტის სამშენებლო ფაკულტეტის პროფესორი. გენერალ მაიორი

ანოტაცია

წინამდებარე ნაშრომში განხილულია სამხედრო მეცნიერების კერძოდ სამხედრო საინჟინრო ორგანიზაციის პრიორიტეტები და მისი სტრუქტურა დღევანდელი საფრთხეებისა და გამოწვევების ფონზე. სამხედრო მეცნიერების როლი ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განვითარების ეტაპებზე. ძირითადი ყურადღება გამახვილებულია საინჟინრო სტრუქტურებისა და ქვედანაყოფების განვითარებაზე, რომელმაც უნდა უზრუნველყოს ტოტალური თავდაცვის პრინციპებზე დაყრდნობით ქვეყნის თავდაცვისუნარიანობისა და საინჟინრო შესაძლებლობების გაზრდა. სამხედრო საინჟინრო ორგანიზაცია, ტოტალური თავდაცვის სქემაში იქნება ამოქმედებული და უზრუნველყოფს ქვეყნის ერთიანი საინჟინრო სისტემის შექმნას.

საინჟინრო შტაბის იდია, რომელიც იქნება თავდაცვის ძალების გენერალური შტაბის ნაწილი და უზრუნველყოფს საინჟინრო ოპერაციების მართვისა და კონტროლის გაუმჯობესებას, ასევე ინფრასტრუქტურული პროექტების მართვასა და მის მომზადებას საინჟინრო შესაძლებლობების გაზრდის მხრივ. ნაშრომში მოყვანილია შედარება და ბალანსი საინჟინრო ფუნქციებსა და ოპერაციების დონეების მხრივ საომარი მოქმედებების ყველა ეტაპზე.

სტატიაში, ასევე განხილულია საინჟინრო ქვედანაყოფების სტრუქტურები, რომელიც უნდა განხორციელდეს საინჟინრო შესაძლებლობების გასაუმჯობესებლად რომ შეძლოს, როგორც ტაქტიკურ ასევე ოპერატიულ და სტრატეგიულ დონეზე საინჟინრო ოპერაციების განხორციელება.

MILITARY SCIENCE PRIORITIES IN GEORGIA (MILITARY ENGINEERING ORGANIZATION)

LIEUTENANT COLONEL ZEZVA NAVERIANI

A doctoral student of Military Engineering Program.
Civil and Industrial Construction Department, Faculty of Civil Engineering,
Georgian Technical University

SUPERVISOR: ELGUJA MEDZMARIASHVILI

Doctor of Military Science, Doctor of Technical Science, academician of National Science Academy of Georgia, Professor of Faculty of Civil Engineering of Georgian Technical University, General-Major

ANNOTATION

The present paper discusses the priorities of military science, particularly military engineering organization and its structure against the background of today's threats and challenges, the role of military sciences on the different stages of the development of defense capabilities of the country. The main attention is focused on the development of engineering structures and subdivisions that should ensure the growth of the country's defense capabilities and engineering potential based on the principles of total defense. The military engineering organization will be put into operation in the total defense scheme and will ensure the creation of a unified engineering system of the country.

An idea of engineering headquarter means that it will be the part of the General Staff of the Defense Forces and ensures the improvement of management and control of engineering operations, as well as management and preparation of infrastructural projects to increase engineering capabilities. There is given comparison and balance concerning engineering functions and levels of operations in every stage of warfare.

The article also discusses the structures of engineering subdivisions that should be put into operation to improve engineering capabilities to perform engineering operations on strategic, operational and tactical levels.

შესავალი:

საქართველოს სამხედრო ორგანიზაციაში, რომელიც სამხედრო მოღვაწეობით ახორციელებს ქვეყნის თავდაცვას, სამხედრო დარგის მეცნიერები და თავდაცვის თემატიკაზე მომუშავე სპეციალისტები, სამხედრო ინტელიგენციის სახით, შედიან მესამე ჯგუფში. რაც შეეხება პირველ და მეორე ჯგუფებს, მათში შესაბამისად, შედიან სამხედრო ფორმირებები და სახელმწიფო სამხედრო მოღვაწეები.

ამჟამად სამხედრო მოღვაწეებისა და მეცნიერების კვლევის საგანს წარმოადგენს ქვეყნის თავდაცვის ძალებისა და მისი ქვედანაყოფების სწორი სტრუქტურული განვითარება, რომელიც უნდა აისახოს გრძელვადიან გეგმაში და უზრუნველყოს თავდაცვისუნარიანობის განმტკიცება ქვეყანაში და რეგიონში არსებულ გამოწვევებზე ადეკვატური, სათანადო პასუხის გაცემა.

სამხედრო საინჟინრო ორგანიზაცია, რომელიც წარმოადგენს სამხედრო ორგანიზაციის ნაწილს, მისი განვითარება უნდა მოხდეს ეტაპობრივად, სამხედრო ორგანიზაციის განვითარების ყველა ფაზაში. იმის ფონზე, რომ მსოფლიოში სამხედრო ინდუსტრისა და შესაძლებლობების განვითარება აქტიურად მიმდინარეობს, ბოლო 250 წელია საქართველო მისი უახლესი ისტორიის მანძილზე ჯერ რუსეთის იმპერიაში და შემდგომ საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში ყოფნის გამო, საგრძნობლად ჩამორჩა დანარჩენი მსოფლიოს ნაწილს, ხოლო დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ 30 წლის განმავლობაში სამხედრო ორგანიზაციის განვითარება კვლავ აქტიურად საკითხად დგას და საჭიროებს სისტემურ მიდგომას მისი ეტაპობრივ განვითარებისთვის.

სამხედრო საინჟინრო ორგანიზაცია

რეგიონში მიმდინარე პოლიტიკური და გეოპოლიტიკური პროცესების ფონზე საქართველო რთული გამოწვევების წინაშე დგას. ამჟამად, როდესაც რუსეთის საოკუპაციო ძალებს ოკუპირებული აქვთ ქვეყნის ორი რეგიონი და სამხედრო ნაწილები განლაგებული ჰყავს ამ რეგიონებში, რითაც უზრუნველყო საკუთარი ქვედანაყოფების სტრატეგიული გამლა და ოპერატიული მონყობა, საქართველოს თავდაცვისუნარიანობა რთული გამოწვევის წინაშე აღმოჩნდა. იმისათვის, რომ თავი გაართვას ამ გამოწვევებს, საქართველოს თავდაცვის დაგეგმარება დაფუძნებულია „ტოტალური თავდაცვის“ პრინციპებზე, რომელიც გულისხმობს ქვეყნის მთელი ტერიტორიის დაცვის უზრუნველყოფას სრული ეროვნული ძალისხმევით, როგორც სამხედრო, ისე სამოქალაქო რესურსების გამოყენებით. ამჟამინდელი ძალთა სტრუქტურა არ უზრუნველყოფს ტოტალური თავდაცვის მოთხოვნილებებისა და ეროვნული თავდაცვის სტრატეგიის მიერ დასახული მისიის ეფექტურ წარმოჩენას. საჭიროა საქართველოს თავდაცვის ძალების საინჟინრო ქვედანაყოფების ძალთა სტრუქტურაში ცვლილებების განხორციელება, საინჟინრო ძალების მართვისა და კონტროლის გაუმჯობესების მიზნით, რათა თანაბრად და ეფექტიანად იქნას მხადაჭერილი სახმელეთო ძალების აღმოსავლეთ და დასავლეთ სარდლობები.


ტოტალური სქემის ამოქმედებისთვის საჭიროა ქვეყნის ერთიანი რესურსის გამოყენება და საინჟინრო შესაძლებლობების გაზრდა, რომელიც ამოქმედდება ერთიან სახელმწიფო საინჟინრო სისტემაში. თავდაცვის ძალების საინჟინრო სტრუქტურებისა და ქვედანაყოფების სტრუქტურისა და შედგენის უპასუხოს არსებულ გამოწვევებს და უზრუნველყოს ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის გამტკიცება.

საქართველოს თავდაცვის ძალების საინჟინრო ორგანიზაციის (შტაბები) სასურველი მოდელი


საინჟინრო შტაბის ფუნქცია უნდა მოიცავდეს სტრატეგიული დონის საინჟინრო ოპერაციების დაგეგმვას, შტაბის ხელმძღვანელი იქნება მთავარი ინჟინერი რომელიც მისცემს რჩევებს თავდაცვის ძალების მეთაურს (გენერალური შტაბის უფროსს) ყველა საინჟინრო საკითხთან დაკავშირებით.

შტაბმა უნდა უზრუნველყოს:

- კოორდინაცია გაუწიოს საინჟინრო ქვედანაყოფებსა და წარმართოს საინჟინრო განვითარების პოლიტიკა;
- შტაბმა უნდა შეიმუშაოს საინჟინრო მხარდაჭერის გეგმა როგორც საბრძოლო მოქმედებების დროს ასევე საბრძოლო მოქმედებამდე და შემდგომ, რომელიც უპასუხებს ტოტალური თავდაცვის პრინციპს
- ქვეყნის ტერიტორიების საინჟინრო მომზადებასთან დაკავშირებით გეგმის შემუშავება და წარმოდგენა;
- კოორდინაცია უწყებათაშორის თანამშრომლობისთვის საინჟინრო რესურსების მართვაში;
- ზედამხედველობა და თანამშრომლობა ინფრასტრუქტურული პროექტების მართვაში



ნახ. 1 საინჟინრო შტაბების სასურველი მოდელი



ნახ. 2 ბალანსი საინჟინრო ფუნქციებს შორის ოპერაციის დონეების მიხედვით

საინჟინრო დავალებები ოპერატიული დონეების მიხედვით

სტრატეგიული დონის საინჟინრო დავალებები ძირითადად მოიცავს;

საინჟინრო ძალების დაგეგმარებას, სამხედრო საინჟინრო პოლიტიკას და დოქტრინებს. სტრატეგიულ დონეზე კრიტიკულ ასპექტს წარმოადგენს სამხედრო დანიშნულების ინფრასტრუქტურის პროექტების დაგეგმვა. ინჟინერმა უნდა უზრუნველყოს მოამარაგოს სტრატეგიული დონის შტაბი შემდეგი რჩევებით:

1. რელიეფი და ინფრასტრუქტურული პროექტები;
2. საინჟინრო ძალების სტრატეგიული განლაგება;
3. საინჟინრო გავლენა გაერთიანებულ ოპერაციებზე;
4. სტრატეგიული ხელმძღვანელობა და პოლიტიკა.
 - აუფეთქებელი საბრძოლო მასალების განკარგვაზე;
 - ჰუმანიტარული დახმარების საინჟინრო პროექტებზე;
 - ძალთა დაცვის ღონისძიებების გატარებაზე.

დამატებით საინჟინრო ღონისძიებები, ასევე განიხილება სტრატეგიული დონის სწავლებებში და შეფასებაში მონაწილეობაზე.

ოპერატიული დონის საინჟინრო ოპერაციები ძირითადად ორიენტირებულია ოპერაციების დაგეგმარების პროცესში მონაწილეობასთან. ოპერატიული დონის ინჟინერი არის მთავარი მრჩეველი ოპერატიული დაჯგუფების მეთაურისთვის, რომელიც უწევს კორდინაციას და ხელმძღვანელობს ყველა საინჟინრო კომპონენტს.

ინჟინერმა აუცილებელია მისცეს რჩევა ოპერატიული დაჯგუფების მეთაურს:

1. ოპერაციის რაიონის საინჟინრო მომზადებაში;
2. მანევრის საინჟინრო მხარდაჭერაზე;
3. საინჟინრო ოპერაციების კოორდინაცია საცეცხლე მხარდაჭერასთან და მიზნებთან;
4. ძალთა დაცვის საინჟინრო მხარდაჭერაზე.

ტაქტიკური დონის საინჟინრო ოპერაციები ძირითადად ფოკუსირებულია საბრძოლო საინჟინრო მხარდაჭერაზე, ასევე ძალთა დაცვის საინჟინრო მხარდაჭერაზე რომელიც მოიცავს სიცოცხლისუნარიანობის ოპერაციებსა და ინფრასტრუქტურულ პროექტებს.


ასევე საინჟინრო ქვედანაყოფებმა უნდა უზრუნველყოს საბრძოლო სამხედრო მოქმედებების სრული საინჟინრო მხარდაჭერა, რომ ოპერატიულმა დაჯგუფებამ შეძლოს ამოცანის წარმატებით შესრულება. დიაგრამის სახით წარმოდგენილია სქემა სადაც ასახულია საინჟინრო ფუნქციების როლი და ბალანსი საბრძოლო მოქმედებების ყველა ფაზაში.

სამხედროსაინჟინრო ქვედანაყოფები


საინჟინრო ქვედანაყოფების ფუნქცია და მათი როლი დღევანდელი საფრთხეებისა და გამოწვევების ფონზე ერთ-ერთ მნიშვნელოვანია თავდაცვის ძალების შემადგენლობაში, საინჟინრო ქვედანაყოფების სტრუქტურული ერთეულების განვითარება სრულად უნდა პასუხობდეს საქართველოს თავდაცვის ძალების ამოცანებს და უნდა უზრუნველყოფდეს სრულ საინჟინრო მხარდაჭერას.

საინჟინრო ოპერაციები:

- უზრუნველყოფს საკუთარი ძალების მობილურობას;
- ამცირებს მონინაალმდგვის მობილურობას;
- აძლიერებს საკუთარი ძალების დაცვასა და უზრუნველყოფს მათ ხან-გრძლივ ქმედითუნარიანობას;
- ხელს უწყობს ფიზიკური გარემოს სწორ გაგებას;



ნახ. 3 საინჟინრო ფუნქციების როლი და ბალანსი საბრძოლო მოქმედებების ყველა ფაზაში.



ნახ. 4. საინჟინრო ბრიგადის სასურველი მოდელი

საინჟინრო ოპერაციები უზრუნველყოფს სრულმასშტაბიანი ოპერაციების ყველა ელემენტს მნიშვნელოვანი საბრძოლო შესაძლებლობებით. ტაქტიკურ დონეზე საინჟინრო მოქმედებები კონცენტრირებულია იმ საბრძოლო ელემენტების განსაზღვრული წესით განლაგებასა და მანევრზე, რომლებიც აუცილებელია ბრძოლის მიზნების მისაღწევად. ტაქტიკური ამოცანები კომპლექსურია, ამიტომ დაგეგმვის დროს გასათვალისწინებელია მონინააღმდგის როგორც სიმეტრიული, ისე ასიმეტრიული შესაძლებლობები.

სამხედრო საინჟინრო ქვედანაყოფებს აქვთ ერთერთი ძირითადი ფუნქცია, როგორც ბრძოლისთვის მომზადების ასევე საბრძოლო მოქმედებების დროს ომის თეატრის ყველა მონაკვეთზე. როგორც ფრონტის ხაზზე ასევე ზურგის რაიონში.

საინჟინრო ბრიგადა


საინჟინრო ბრიგადის ამოცანა იქნება, როგორც ტაქტიკური დონის ოპერაციები ასევე ოპერატიული და სტრატეგიული დონის ამოცანების შესრულება.

ბრიგადა იქნება თავდაცვის ძალების გენერალურ შტაბის პირდაპირ დაქვემდებარებაში და შეძლებს საქართველოს მასშტაბით ოპერაციების განახორციელებას, აღმოსავლეთ და დასავლეთ სარდლობების ოპერატიულ და ტაქტიკურ დონეზე მხარდაჭერის მიზნით; აგრეთვე, სტრატეგიული ოპერაციების განხორციელებას, როგორც საბრძოლო მოქმედებების დროს, ისე საბრძოლო მოქმედებებამდე.

სამანევრო ბრიგადების საინჟინრო ქვედანაყოფები

სამანევრო ქვედანაყოფები, (ბრიგადები) რომლებიც წარმოადგენენ ტაქტიკური ოპერაციების ჯგუფებს, უნდა შეეძლოთ საკუთარი ძალებით ტაქტიკური ოპერაციების განხორციელება, რისთვისაც მათ სჭირდება მანევრისა და სხვადასხვა საბრძოლო ფუნქციების შეთანხმებული და დაბალანსებული მოქმედება. ერთ-ერთ ძირითად ფუნქციას წარმოადგენს საინჟინრო მხარდაჭერა. იმისთვის, რომ სამანევრო ბრიგადებმა დროულად შეასრულონ ამოცანა, უნდა ჰყავდეთ საკუთარი საბრძოლო მხარდაჭერი ელემენტები.

საინჟინრო ბატალიონი. საინჟინრო ბატალიონის სტრუქტურა და აღჭურვილობა დამოკიდებული უნდა იყოს სამანევრო ბრიგადის სახეობაზე. ყველა სამანევრო ბრიგადას უნდა ჰყავდეს მასზე მორგებული საინჟინრო ბატალიონი



ნახ. 5 სამანევრო ბრიგადის საინჟინრო ბატალიონის სასურველი მოდელი

დასკვნა

ყველა ზემოხსენებული რეკომენდაცია საქართველოს თავდაცვის ძალების განსახორციელებელ ზომებთან დაკავშირებით უნდა დაიწყოს და უმოკლეს დროში უნდა მოხდეს მისი განხილვა, რადგან ყველა ეს საკითხი გავლენას ახდენს დავალებების შესრულების ხარისხზე და რაც მთავარია ჩვენი ქვეყნის თავდაცვისუნარიანობაზე. საინჟინრო ორგანიზაციის განვითარება უზრუნველყოფს ეფექტური საინჟინრო შესაძლებლობების გაზრდას, რომელიც უკასხებს მის წინაშე დასმული ამოცანების შესრულებას.

1. გაუმჯობესდება საინჟინრო ქვედანაყოფების მართვის და კონტროლის საშუალება;
2. გაზრდის სამანევრო ქვედანაყოფების მობილურობას და სიცოცხლისუნარიანობას;
3. უზრუნველყოფს კონტრამობილურობის ხარისხის გაუმჯობესებას;
4. უზრუნველყოფს ტოტალური თავდაცვის პრინციპით ქვეყნის საინჟინრო რესურსის მობილიზებას და ეფექტურ მართვას.

საკვანძო სიტყვები:

ტოტალური თავდაცვა, სამხედრო ორგანიზაცია, საიმხედრო საინჟინრო ორგანიზაცია, ერთიანი სახელმწიფო საინჟინრო სისტემა.

KEYWORDS:

total defense, military organization, military engineering organization, united state engineering system.

გამოყენებული ლიტერატურა

1. E. Medzmariashvili. "Novel approach to indirect of military theory". Munich. 2011. (English)
2. Group of authors. „Military Encyclopedic Dictionary of Georgia“ Tbilisi. 2017 (Georgian)
3. E. Medzmariashvili „Fundamentals of Georgian Military Engineering Doctrine“ Tbilisi. 2006. (Georgian)
4. MurTaz Gujejiani, Davit Maisuradze, Irakli Buishvili „SOME PRIORITIES OF MILITARY SCIENCE IN GEORGIA“ GTU. collection of scientific works (N2 (516), 2020)

შავი ზღვის რეგიონი: აქტორები და ინტერესები

იოსებ ავსაჯანიშვილი

სსიპ-საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, დოქტორანტი,
სამხედრო ინჟინერიის სადოქტორო პროგრამა

ანოტაცია

ცივი ომის დამთავრების შემდეგ სამყარომ განიცადა მნიშვნელოვანი ტრანსფორმაცია გავლენის სფეროების მიმართ მიდგომის თვალსაზრისით. დღევანდელი რუსეთის პოლიტიკა სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ დააფიქსიროს თავის გავლენის სფეროები პოსტსაბჭოურ სივრცეზე და ტრადიციულად მისი გავლენის რეგიონებში. ცივილიზებული სამყარო ეწინააღმდეგება ამ მიდგომას, რადგან აღიარებულია, რომ ყველა ქვეყანას აქვს თავის განვითარების პოლიტიკური ორიენტაციის არჩევის უფლება. მიუხედავად ამისა, ძლიერი ქვეყნები გარკვეულ რეგიონებში ყოველთვის მიმართავენ მათ ხელთ არსებული მექანიზმებისა და ბერკეტების სრულ სპექტრს საკუთარი ინტერესების უზრუნველსაყოფად.

შავი ზღვის რეგიონის მიმართ ინტერესი განპირობებულია მისი კრიტიკული გეოგრაფიული ადგილმდებარეობით. ევროპისთვის ის არის დამაკავშირებელი ხიდი ცენტრალური აზიის რეგიონთან და ჩინეთის მიმართულებით. ევროპის ინტერესი განპირობებულია ასევე იმით, რომ ეს არის ტრანზიტული გზა აზიის მიმართულებით სატრანსპორტო პროექტებისთვის, რომლებიც შავი ზღვის რეგიონზე გადის და პასუხობს ევროპის ეკონომიკურ და ენერგეტიკულ ინტერესებს.

ჩინეთისთვის კი ეს უმოკლესი სახმელეთო-საზღვაო გზაა ევროპისკენ. ეს რეგიონი არის ის დამაკავშირებელი რგოლი, რომლის გამოყენება საკუთარი ინტერესებისა და გავლენის პროექციების კუთხით ხელსაყრელია ყველა მხარისთვის.

რფ-ს შავი ზღვის აუზის კონტროლით ხელი ეხსნება, რომ ჰქონდეს საკუთარი ინტერესების გავრცელების შესაძლებლობა და გავლენის პროექცია მოახდინოს ხმელთაშუაზღვის აუზის ქვეყნებსა და ახლოაღმოსავლეთზე.

აშშ-ს ინტერესი შავი ზღვის რეგიონისადმი განპირობებულია მისი პოლიტიკით ირანის მიმართ და რფ-ს აგრესიული მისწრაფებების გასაწინააღმდეგებლად შავი ზღვის რეგიონში. ეს განსაკუთრებით გამოიხატა მას შემდეგ, რაც რუსეთმა მოახდინა მისი შავი ზღვის სანაპირო ზოლის საგრძნობი გაფართოება ყირიმის ნახევარკუნძულის ხარჯზე.

BLACK SEA REGION: ACTORS AND INTERESTS

IOSEB AVSAJANISHVILI

LepI Georgian Technical University, student Doctoral Program on
Military Engineering

ANNOTATION

After the end of the «cold war» the world underwent significant changes in its approach to spheres of influence. Russia's current policy is to fix its spheres of influence in the post-Soviet space and in other regions of the world where it traditionally has influence. The civilized world opposes this approach because it recognizes that every country has the right to choose the political orientation of its development. Nevertheless, powerful countries have always resorted to the full range of mechanisms and tools at their disposal to protect their interests in the particular regions and areas.

The interest towards the Black Sea region is dictated by its critical geographic location. For Europe, it is a bridge towards Central Asia and China. Europe's interest stems from the fact that this is a transit route to Asia for transport projects that pass through the Black Sea region and meet Europe's economic and energy interests.

For China, it is the shortest route by land and sea to Europe (Balt&Road initiative). The region is a bridge that benefits all parties in terms of projecting their own interests and influences.

The Russian Federation, through control of the Black Sea basin, has the possibility to spread its interests and project its influence to the countries of the Mediterranean basin and the Middle East.

The United States interest in the Black Sea region stems from its policy towards Iran and the neutralization of the Russian Federation's aggressive aspirations in the Black Sea region. This was particularly evident after the significant expansion of the Black Sea coast of the Russian Federation at the expense of the Crimean Peninsula.

დღეისთვის შავი ზღვა წარმოდგება, როგორც მსხვილი გეოპოლიტიკური ინტერესების დაპირისპირების ადგილი ანუ იგი ერთგვარი გზაჯვარედინია სხვადასხვა ინტერესების (კომენტარი: სხვადასხვა ქვეყნების ნაციონალური ინტერესები) კვეთის თვალსაზრისით. გლობალურ პოლიტიკაში შავი ზღვის რეგიონი ამ კუთხით პრიორიტეტულად პირველ ადგილზე არ დგას, რადგან აქვეა ცხელი წერტილებით გადატვირთული ახლო აღმოსავლეთი. მაგრამ, შავ ზღვაში ჩვენ გვაქვს ბევრი სხვა საინტერესო მოხაზულობები: I – საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომი პრობლემა და უპასუხოდ დატოვებული შეკითხვები, რომელსაც დავმატა პანდემიით გამოწვეული გამოწვევები; II – ქვეყნის გეოპოლიტიკური მდგომარეობა—დან გამომდინარე შავი ზღვა ჩვენთვის როგორც პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული თუ სამხედრო განვითარების პოტენციალია, ისე საგარეო საფრთხეების შემცველი წყარო; III – შავი ზღვა არის ნოტო—ს აღმოსავლეთ მიმართულების სამხრეთი ნაწილი, რომლის მდგომარეობა დღეისთვის საკმაოდ სენსიტიურია, ალიანსში თურქეთის მიერ ამ ბოლო დროს გამოხატული პოზიციისა და აშშ—თან და ბრიტანეთთან გამწვავებული ურთიერთობების გამო.

რეგიონში არსებული ვითარების განხილვა უნდა მოხდეს მისი მთავარი პოლიტიკური მოთამაშების პოზიციებისა და ინტერესების ჭრილში. ამ ეპიზოდში ჩვენთვის ერთ—ერთი ყველაზე მთავარია რუსეთის ფაქტორი, რომელიც შავი ზღვის რეგიონში (და არა მარტო) ყოველთვის ავლენდა ცხოველ ინტერესს. ბოლო ათწლეულებში განვითარებული მოვლენების, განსაკუთრებით კი ყირიმის ანექსის შემდგომ, მისი წარმომადგენლობა შავიზღვისპირეთში არის საგრძობლად გაზრდილი, ხოლო ინტერესი კი რჩება უცვლელად. აქ აღსანიშნავია, რომ რამდენადაც გასაოცარი არ უნდა იყოს, შავი ზღვის რეგიონში ევროპულ ქვეყნებზე მეტად დღეს ინტერესსა და აქტივობას ავლენს აშშ და გარკვეულწილად მათ ჩაენაცვლა კიდევ. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ამ ეპიზოდში არის ჩინეთის მომავალი დაინტერესების საკითხი შავი ზღვის რეგიონით, „ერთი სარტყლისა და ერთი გზის“ (balt&road) ინიციატივის გათვალისწინებით.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობა ხელსაყრელია, როგორც ქვეყნის განვითარების შესაძლებლობების კუთხით, ისე საგარეო საფრთხეებიდან გამომწვეული რისკების თვალსაზრისით. ეს გამოიხატება იმით, რომ გეოპოლიტიკური თვალსაზრისით ჩვენ ვიმყოფებით ე.წ. ბუფერულ ზონაში, და რეალურად ვართ ორი უძლიერესი, მაგრამ პოლიტიკური, ეკონომიკური თუ სამართლებრივი თვალსაზრისით განხვავებულ სახელმწიფოთა — რუსეთსა და თურქეთს შორის. აქ კი მნიშვნელოვანია ის, თუ როგორ გადის ამ სახელმწიფოთა ინტერესები საქართველოზე, სადაც საგულისხმოა შემდეგი მომენტი: მიუხედავად იმისა, რომ რუსეთისა და თურქეთის პოლიტიკური და ეკონომიკური ინტერესები (2016 წლის თურქეთის აშკარა დაპირისპირება აშშ—თან, თურქული ნაკადის პროექტის გაშვება) ზოგიერთ შემთხვევაში ერთმანეთს ემთხვევა, ხოლო ზოგჯერ ისე რადიკალურად განსხვავდება, რომ საკმაოდ ხშირად პოლიტიკური დაპირისპირების წინაშეც კი აღმოჩნდებიან ხოლმე (შენიშვნა: სირიის მაგალითი). ასეთ შემთხვევაში მათ შორის არსებული ერთგვარი შეკავების ხაზი (შენიშვნა: „რკინის ფარდის“ მსგავსი) გადის შავ ზღვაზე და შემდგომ კი კვეთს საქართველოს ტერიტორიას.

რაც შეეხება რეგიონალურ აქტორებს: გემოალინიშნულ ყირიმის ფაქტორთან დაკავშირებით რუსეთის პოზიცია არავისთვის გასაკვირი არაა, ვინაიდან ისტორიულად ის ასეთი ქვეყანაა, რაც განსაკუთრებით ცხადი ხდება მის მიერ წარმოებული მილიტარისტული და დამპყრობლური პოლიტიკის წარმოების ჭრილში. აქ ხაზგასასმელი და აღსანიშნავია დასავლეთის პოზიციონირება. ამ მხრივ უნდა გამოვყოთ ზოგიერთი საკითხი: აღმოსავლეთ ფლანგზე ნატო—ს განლაგება არის ასიმეტრიული, რომელიც კარგად ჩანს ბალტიისა და შავი ზღვების მაგალითზე. სამხედრო თვალსაზრისით ამ ვითარებამ მიიღო სათანადო დასახელებებიც: ბალტიის ზღვის შემთხვევაში ეძახიან „მაღალი ხარისხის მონინავგ განლაგებას“ (enhanced forward presence), ხოლო შავი ზღვის შემთხვევაში ჰქვია „მონინავგ მორგებული განლაგება“ (tailored forward presence). ეს იმას ნიშნავს, რომ ნატოს უსაფრთხოების სისტემა აღმოსავლეთის მხრის ჩრდილოეთ ნაწილში არის უფრო ორგანიზებული და ინფრასტრუქტურულად უფრო აღჭურვილი მაშინ, როდესაც მისი კოლექტიური უსაფრთხოების სისტემა შავი ზღვის სივრცეში თითქმის ყველა პარამეტრით ჩამორჩება. ამის მიზეზია არა მხოლოდ აშშ—რუსეთის ურთიერთობის, არამედ შავი ზღვის სამართლებრივი ფაქტორი. აქ იგულისხმება მონტრეს კონვენცია, რომლის მიხედვით განისაზღვრება შავ ზღვაში სამხედრო წარმომადგენლობა. ეს ხელშეკრულება კი არის საერთაშორისო, მაგრამ მისი განხორციელება დიდწილად თურქეთზე და მის კეთილგანწყობაზე დამოკიდებული, ანუ იმაზე თუ როგორ აწყობს კონკრეტულ პოლიტიკურ ვითარებაში და როგორ განმარტებას მისცემ მას¹. თურქეთი საკმაოდ მნიშვნელოვანი და ანგარიშგასაწევი მოთამაშეა შავი ზღვის რეგიონალური უსაფრთხოების პოლიტიკაში. იგი თითქოსდა ფორმალურად კი არის ნატოს წევრი ქვეყანა, მაგრამ მისი პოზიცია რეგიონში გამოხატულია რამდენიმე სპეციფიური ელემენტით, კერძოდ: თურქეთი არ მაღავს, რომ ნატოს გაძლიერებული წარმომადგენლობა შავიზღვისპირეთში მის ინტერესებში არ შედის; იგი ცდილობს, რომ რუსეთისა და ნატოს ერთმანეთისგან აბსოლუტურად საწინააღმდეგო ინტერესები საკუთარი ნაციონალური ინტერესების დასაცავად და გასატარებლად გამოიყენოს. რეალურად ასეთი მოქმედება თურქეთს არ აძლევს სწორხაზოვანი პოლიტიკის წარმოების საშუალებას და ამის გამოც მას პერიოდულად უხდება რუსეთთან პოზიციონირებით ამერიკასთან დაახლოება. სამართლიანობისთვის უნდა ითქვას, რომ თურქეთი დღეს რეგიონალურ მესახელმწიფოდ არის ქცეული და მისი ეს სტატუსი ნათლად ვლინდება პოლიტიკურად აქტიურ და ცხელ რეგიონებში: ხმელთაშუაზღვაში, ახლო აღმოსავლეთში, სამხრეთკავკასიაში. ყოვლივე ხაზს უსვამს თურქეთის მზარდ დომინირებას მისთვის პოლიტიკურად საკვანძო რეგიონებში.

რუსეთთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ ისტორიულად მას ამოძრავებს მის საზღვრებთან სტრატეგიული სიღრმის შექმნის ინტერესი. რუსეთის გაგებით, შავი ზღვა არის მისი ინტერესების მოწინააღმდეგებისათვის ყველაზე მოკლე და იოლი გზა რუსულ სივრცეში შესაღწევად. ამიტომ, რუსეთისთვის შავი ზღვა და თურქეთის სრუტეები, ძალიან სენსიტიური თემაა — ანუ ეს არის როგორც რუსეთის გავლენის სფეროში შეღწევის, ისე რუსული ინტერესების ექსპორტის

¹ კონვენციის ტექსტი თურქეთს უტოვებს მრავალმხრივი აღქმისა და ნაკითხვის შესაძლებლობას.

შესაძლებლობა ხმელთაშუაზღვისპირეთის ქვეყნების მიმართულებით და განსაკუთრებით კი ენერგომატარებლებით მდიდარ გეოგრაფიულ რეგიონებში, რომელთაგან მისთვის უმთავრესი და სტრატეგიულად მნიშვნელოვანია ახლო აღმოსავლეთი მისი საბადოებითა და სატრასპორტო დერეფნებით. ამდენად, რუსეთისათვის ეს არ არის მხოლოდ შავი ზღვის აკვატორია, არამედ ეს არის გასასვლელი როგორც გარედან შიგნით რუსული გავლენის სივრცეში, ისე პირიქით.

ყირიმის ანექსიის შემდეგ, რუსეთმა მიმართა ე.წ. A2AD (anti-access area denial) სტრატეგიას, რომელიც გულისხმობს პრაქტიკულად მთელი შავი ზღვის აკვატორიაზე და საჰაერო სივრცეზე კონტროლის დაწესებას, საჰაერო თავდაცვისა და ხომალდსაინააღმდეგო სისტემების კონცენტრირებას ნახევარკუნძულის ტერიტორიაზე (განლაგებული აქვს სარაკეტო კომპლექსი „ისკანდერი“, ჰარსანინააღმდეგო კომპლექსი S-400 და ხომალდსაინააღმდეგო კომპლექსი „ბასტიონი“). ყოველივე ეს მიმართულია რუსეთისთვის „მტრული ძალის“ შავი ზღვის აკვატორიაში შეღწევის გასაწინააღმდეგოდად და ხმელთაშუა ზღვის რეგიონზე რუსეთის ძალის პროექციების უზრუნველსაყოფად. ეს სტრატეგია მიმართულია იმაზე რომ ნებისმიერ შემთვე ძლას აქ არ ექნება მოქმედებისა და მოძრაობის თავისუფება მნიშვნელოვანი დანაკარგების გარეშე.

ასე რომ, სტრატეგიული სიღრმის შენარჩუნება რუსეთისათვის ყოველთვის მნიშვნელოვანია და ეს არა მარტო შავ ზღვაზე ჩანს, არამედ ხმელეთზეც: ბელორუსიასთან, უკრაინის აღმოსავლეთ რეგიონთან და თუნდაც ჩვენთან მიმართებაშიც, როდესაც მას ორ–ორი რეგიონი აქვს ოკუპირებული. აქედან გამომდინარე ცხადია, რომ მის საზღვართან არსებული რაც მეტი სხვისი გეოგრაფიული ტერიტორიები იქნება მისი გავლენისა და კონტროლის ქვეშ, მით მეტი აქვს მას სტრატეგიული სიღრმის ტერიტორიალური ერთეულები და ეს კი მას მეტი მანევრისა და ბალანსირების საშუალებას აძლევს. შავი ზღვაზე ჯდება მისი სტრატეგიული სიღრმის შენარჩუნების კონცეფციაში. აქედან გამომდინარე უფრო მეტი გამონწვევების მატარებელია ჩვენთვის, ვინაიდან ჩვენც ამ რეგიონის განუყოფელი ნაწილი ვართ და ეს ბრძოლა ამ ორ განსხვავებულ ბანაკს (რფ–ნატო) შორის, ჩვენზე სავარაუდოდ რთულად და საფრთხის შემცველი გარემოებებით აისახება.

აღნიშნულ საკითხზე მსჯელობისას სჭირია შევხვით, თურქეთის მიერ 2013 წელს დაწყებულ, სამხედრო–საინჟინრო თვალსაზრისით უნიკალურ პროექტს – სტამბოლოს ევროპულ ნაწილზე, ბოსფორის სრუტის პარალელურად, მარმარისა და შავი ზღვების დამაკავშირებელი არხის მშენებლობას. აღნიშნული პროექტის განხორციელება მოტივირებულია თითქოსდა ბოსფორის სრუტეში არსებული ეკოლოგიური პრობლემებიდან გამომდინარე, მაგრამ არაა გამორიცხული, რომ ეს არხი გამოყენებულ იქნას სამხედრო ხომალდების გასტარებლადაც². აქ აღსანიშნავია, რომ შავი ზღვის რეგიონში სამხედრო შეიარაღებული ძალების თვალსაზრისით დღეისათვის ყველაზე ძლიერად რუსეთი და თურქეთია წარმოდგენილი, და შეიძლება ვივარაუდოთ, რომ თუ მოვლენები ისე განვითარდა, რომ სხვებულმა ახალმა არხმა შესუსტა მონტრეს კონვენციის შემღებები, მაშინ ნატო გააძლიერებს მის სამხედრო წარმომადგენლობას შავ ზღვაზე და „მორგებული განლაგებიდან“ გადავა „გაძლიერებულ მონიშნულ განლაგებაზე“.

იმ შემთხვევაში თუ მოვლენები ასე არ განვითარდა, საქართველოს საკუთარი უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და თავდაცვისუნარიანობის განვითარება–განმტკიცებისთვის ალტერნატიულ ვარიანტად შეიძლება განვიხილოთ საერთაშორისო ეკონომიკურ პროექტებში ჩართულობის გაფართოება (კომენტარი: რაც უფრო მეტად ურუნველყოფს ნატოს ქოლგის ქვეშ უსაფრთხოების გარანტიებს) და/ან კოლექტიური უსაფრთხოების ორმხრივ ან მრავალმხრივ პოლიტიკურ ჯგუფებში მონაწილეობა.

რეგიონალური კონფლიქტები:

აღნიშნული საკითხის განხილვა მიზანშეწონილია სამხრეთ კავკასიაში ბოლო დროს განვითარებული კონფლიქტის ფონზე, რომელმაც საკმაოდ შეარყია რეგიონის სტაბილურობა და საფრთხის ქვეშ დააყენა საქართველოს უსაფრთხოების საკითხი. მთიანი ყარაბაღის ირგვლივ მიმდინარე საომარ მოქმედებათა განვითარებასა და შედეგებს კრიტიკული მნიშვნელობა ექნება საქართველოს პოლიტიკური სტაბილურობის, ეკონომიკური განვითარებისა და პოზიციონირებისთვის რეგიონში. ისახება პროცესების განვითარების სხვადასხვა სცენარი სხვადასხვა ვარიაციებით³, თუმცა საქართველოსთვის ყველაზე უპრიანია მოვლენების სწრაფი განვითარების ე.წ. რბილი სცენარი. ამის მიხედვით:

- მთიანი ყარაბაღში მოვლენები განვითარდა ამერბაიჯანული მხარის წარმატებით, მხარეებმა ცეცხლი შეწყვეტეს და დაიწყეს მოლაპარაკებები;
- მთიანი ყარაბაღის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად ადგილზე განთავსდება სამშვიდობოების რუსული კონტიგენტი⁴, რომელსაც ენდობა როგორც ამერბაიჯანული ისე სომხური მხარე;
- რუსეთი სომხეთს ასუსტებს და ხელისუფლებაში მოჰყავს პრორუსული ძალები⁵;
- რუსეთი მთიანი ყარაბაღის უსაფრთხოებაზე გარანტიის აღებითა და ოკუპირებული ტერიტორიების გათავისუფლებაში ჩუმი მხარდაჭერით აღრმავებს ურთიერთობებს ამერბაიჯანთან – იზრდება მისი გავლენა სამხრეთ კავკასიაში.

საქართველოს როგორც ევროკავშირის ასოცირებულ ქვეყანას, გასასვლელით შავ ზღვაზე, შეუძლია ამ პროცესში დადებითი როლი შეასრულოს. ჩვენ ვართ სამხრეთ კავკასიის ცენტრალური ქვეყანა, რომელზეც გადის ამერბაიჯანისა და სომხეთის საზღვაო და სახმელეთო მომარაგების სასიცოცხლო არტერიები. საომარი მოქმედების დროს ამ ჰუმანიტარული არტერიების შეფერხებულ მოქმედებას კიდევ უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს კონფლიქტის მონაწილე მხარეებისთვის. ეს ჩვენ უნდა გამოვიყენოთ.

რეგიონში მიმდინარე პროცესებზე მრავალწლიანი დაკვირვება მთიანი ყარაბაღში და მის ირგვლივ საომარი მოქმედების განვითარების ამგვარი სცენარებისა და მათი სხვა და სხვა ვარიაციების შესაძლო შედეგებზე მიაწინებს. ყველა მსხვილ

² ბევრი იქნება დამოკიდებული აშშ-ში არჩევნების შემდეგ ახალი ადმინისტრაციის პოლიტიკაზე ახლო აღმოსავლეთში.

³ OSCE შესაძლებლად არ მეჩვენება, რადგან სომხეთი თურქული მხარის მონაწილეობის კატეგორიული წინააღმდეგი იქნება.

⁴ სრულიად აშკარაა რუსეთის აქტივობა სომხეთის მმართველ წრეებთან.

მოთამაშეს⁶ თავისი ინტერესი აქვს კავკასიისა და კონკრეტულად კი საქართველოს მიმართ. დღევანდელი გადასახედიდან ძნელია პროგნოზირება თუ რომელი სცენარით განვითარდება მოვლენები, რამეთუ დღეს მსოფლიოში მოვლენები ისე სწრაფად ვითარდება, რომ სტრატეგიული გათვლა და მითუმეტეს ქვეყნის უსაფრთხოებისა თუ განვითარების დაგეგმარება პრაქტიკულად გადასულია ტაქტიკური დაგეგმვის დონეზე (შენიშვნა: მაქსიმუმ 2–3 წლიანი პერიოდი). ასეთ შემთხვევაში მნიშვნელოვანია რისკებისა და საფრთხეების სწორად შეფასება, სიტუაციური პარტნიორების⁷ სწორად შერჩევა, რომ ქვეყანაში სტაბილურობა და განვითარების პერსპექტივა შენარჩუნდეს.

რაც შეეხება ყარაბაღის კონფლიქტის ამჟამინდელ მდგომარეობას, აშკარაა, მოხდა კონფლიქტის შეჩერება და არა კონფლიქტის გადანაცვლება (peacekeeping vs peacebuilding). ამჯერადაც მხარეებს აქვთ ურთიერთსაპირისპირო ნარატივები ყარაბაღის სტატუსთან დაკავშირებით, ხოლო რუსეთის ინტერესებში არ შედის ამ პრობლემის გადანაცვლება რომელიმე ერთი მხარის სასარგებლოდ. რუსეთისთვის მნიშვნელოვანია ყარაბაღის და საერთოდ სომხეთისთვის ეგზისტენციალური საფრთხეების თემით სპეკულირება ერევანზე თავისი კონტროლის შესანარჩუნებლად, ხოლო ამერბაიჯანისთვის ყარაბაღზე კონტროლის დამყარების არდაშვებით და საკუთარი სამხედრო კომპონენტის განთავსებით მოსკოვი შეეცდება გაანეიტრალოს თურქეთის აქტიურობა.

გამომდინარე ზემოაღნიშნულიდან, აუცილებელი იქნება თვალყურის დევნება პოლიტიკური პროცესების დინამიკაზე ყარაბაღის კონფლიქტის ირგვლივ. იმის გათვალისწინებით, რომ სამშვიდობო ოპერაციის პირვანდელი ვადა განისაზღვრა 5 წლით (მხარეების თანხმობით შემდგომი გაგრძელების პერსპექტივით), უნდა ვივარაუდოთ, რომ კონფლიქტის განახლების ალბათობის შესაფასებლად საჭირო იქნება იმის გამოთვლა, თუ რა ტრაექტორიით წავა მოვლენების განვითარება. საინჟინრო დაზვერვას საშუალება აქვს, მოგვანოდოს გარკვეული ინდიკატორები, როგორცაა: მხარეების მიერ ხანგრძლივი (რკინა-ბეტონის) თავდაცვითი პოზიციების მონყობა-გაძლიერება, კონფლიქტის ზონისკენ მიმავალი გზების საფარის გაძლიერება-გაფართოება ან ახალი გზების მშენებლობა, სომხური მხარის მიერ ყარაბაღში მყარი თავდაცვითი საინჟინრო ზღუდეების მომზადების დაწყება, ამერბაიჯანული მხარის მიერ შეიარაღებაში ახალი საინჟინრო სისტემების მიღება, რომლებიც გათვლილია თავდაცვითი დაბრკოლებების (ფორთიფიკაციების) სწრაფ გარღვევაზე (მაგალითად: დისტაციური განაღმვის სისტემები) და ა.შ.

დასკვნის სახით:

შავი ზღვის რეგიონის უსაფრთხოების კომპლექსური ხასიათის გათვალისწინებით შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ეს რეგიონი მისი მნიშვნელობიდან და იქიდან გამომდინარე, რაც ახლა ხდება, ახლო მომავლის პერსპექტივაში შავი ზღვის რეგიონი დარჩება მსხვილი საერთაშორისო აქტორების (აშშ, ევროკავშირი, ჩინეთი, რფ, ნატო) მხარდი ყურადღებისა და დაინტერესების ცენტრში.

გამოყენებული ლიტერატურა

1. <https://www.youtube.com/watch?v=QwSYJzi9Gqc&t=1574s> – რადიო-გადაცემაში "საღამოს არხი" ინტერვიუ „ჯეოქეისის“ ხელმძღვანელ ვიქტორ ყიფიანთან, თემაზე: შავი ზღვის რეგიონში შექმნილი ვითარება და ძალთა ბალანსი, საქართველო, რეგიონული გამონწვევები.
2. <https://geocase.ge/ka/publications/185/viqtor-yifiani-shavi-zghvis-regionisadmi-dasavletis-midgoma-operatiulad-gadakhedvasa-da-misadagebas-satchiroebs> – ანალიტიკური ორგანიზაცია „ჯეოქეისის“ თავმჯდომარის, ვიქტორ ყიფიანის ინტერვიუ „ინტერპრესნიუთან“ თემაზე: „შავი ზღვის რეგიონში შექმნილი ვითარება და ძალთა ბალანსი, გარედან მომდინარე ცალკეული ინტერესების შეუთავსებლობა, ასევე საქართველოს რეგიონალური ხასიათის ახალ გამონწვევები“.
3. <https://www.gfsis.org/files/library/opinion-papers/93-expert-opinion-geo.pdf> – ვლადიმერ პაპავა, „ერთი სარტყელი, ერთი გზის ინიციატივა“.

⁶ ესენია: რუსეთი, თურქეთი, ბრიტანეთი, ირანი, დაქსაქსული ევროკავშირი და ეკონომიკურად და ტექნოლოგიურად ძლიერი ჩინეთი, რომელიც თავისი „ერთ გზა ერთი სარტყელის“ (Belt&Road) პროექტით ქსელავს მთელ ახლო აღმოსავლეთს ცენტრალური აზიის ჩათვლით;

⁷ სტრატეგიული პარტნიორობა აღარ არის თანამედროვე პოლიტიკაში.

საქართველოს სამხედრო უსაფრთხოების სისტემა სამხედრო ხელოვნების ჟრილში

ლევან მაისურაძე

სსიპ-საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, დოქტორანტი,
სამხედრო ინჟინერიის სადოქტორო პროგრამა

ანოტაცია

სტატიაში განხილულია საქართველოს სამხედრო უსაფრთხოების სისტემაში სამხედრო ხელოვნების როლი, რომელიც წარმოადგენს სამხედრო მეცნიერების შემადგენელ ნაწილს და მოიცავს ხმელეთზე, ზღვაზე, დედამიწის ირგვლივ სივრცეში საომარი მოქმედებების მომზადებისა და წარმოების თეორიასა და პრაქტიკას. თანამედროვე სამხედრო ხელოვნება ომის წარმოებას განიხილავს სტრატეგიულ, ოპერატიულ, ტაქტიკურ დონეებზე. წარმოდგენილი კლასიკური სტრატეგიებიდან, გამოფიტვის სტრატეგიისგან განსხვავებით, განადგურების სტრატეგია ეყრდნობა ძალას და მისი მთავარი მიზანი ბრძოლა და მონინალმდევის სრული განადგურებაა. ერთ-ერთი ძლიერი იარაღი შედარებით სუსტი ძალისთვის გამოფიტვის სტრატეგიაა, რომლის საშუალებითაც შესაძლებელია დროში განწერილი მოქმედებებით გადამწყვეტი ბრძოლის თავიდან აცილება და მონინალმდევის დასუსტება. ეს მოცემულობა მიზანმიმართულად შეუძლია გამოიყენოს საქართველოს სამხედრო ძალებმა. ორ ოპერატიულ მიმართულებაზე საკვანძო ქალაქების დაცვით მათ საშუალება გაუჩდებათ წინასწარ მოამზადონ ურბანური რაიონები, რაც გამორიცხავს მონინალმდევის მიერ მოახლოების მარშრუტების დაკავებით ომის მოგებას. ბრძოლებში რიცხოვნობრივად და შეიარაღებით აღმატებულ მონინალმდევსთან ბრძოლაში ასიმეტრიული მოქმედების ტაქტიკის გამოყენება ერთიორად გაზრდის ქვედანაყოფების ბრძოლისუნარიანობას, რაც წარმატების წინაპირობა უნდა გახდეს.


GEORGIAN MILITARY SECURITY SYSTEM IN THE CONTEXT OF MARTIAL ARTS

LEVAN MAISURADZE

LepI Georgian Technical University, student Doctoral Program on
Military Engineering

ANNOTATION

In this article is discussed the role of martial arts in the military security system. It is a part of military science and includes the theory and practice of preparing and making war on land, sea, and around the world. Modern martial art discusses making of the war on strategic, operative and tactical levels. From the presented strategies devastating strategy, in contrast to, exhausting strategy relies on power and its aim is to fight and devastate enemy. One of the powerful weapons for weak force is exhausting strategy. It gives the opportunity to avoid the crucial battle, to weaken the enemy with the help of well-organized combat actions. Georgian military forces can use this strategy purposefully. On two operative directions to protect crucial cities they will have ability to prepare urban regions that excludes the winning of the war by enemies with the help of occupying the approaching routes. To use the tactics of asymmetric operations in the battle with outnumbered and well-fortified army increases combat capability of subdivisions. It can become the prerequisite of success.



სურათი 1. ომის დონეები

სახელმწიფოს ძლიერებისა და უსაფრთხოების გარანტიას XXI საუკუნეში კვლავ წარმოადგენს სამხედრო ძალები, რომლებმაც უნდა დაიცვან ქვეყნის სუვერენიტეტი და ტერიტორიული მთლიანობა. თავდაცვის ძალების ეფექტურად გამოყენებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს სამხედრო ხელოვნება, რომელიც ომის ყველა დონეზე განსხვავებულ მიდგომებს აყალიბებს და მოითხოვს სახელმძღვანელო ფუნდამენტური პრინციპების სწორ შერჩევას. საქართველოს სამხედრო უსაფრთხოების სისტემის აღმშენებლობის მიზნით სამხედრო ხელოვნება დაფუძნებული უნდა იყოს საფრთხეების მიმართ დროულ და ეფექტიან რეაგირებაზე და ეყრდნობოდეს ომის წარმოების თანამედროვე ხერხებისა და მეთოდების გამოყენების მსოფლიო გამოცდილებას.

სამხედრო ხელოვნება სამხედრო მეცნიერების შემადგენელი ნაწილია და მოიცავს ხმელეთზე, ზღვაზე, დედამიწის ირგვლივ სივრცეში საომარი მოქმედებების მომზადებისა და წარმოების თეორიასა და პრაქტიკას. სამხედრო ხელოვნების განვითარებას, უზინარეს ყოვლისა, განსაზღვრავს სახელმწიფოს პოლიტიკა, სამხედრო დოქტრინა, მობილიზებული რესურსების რიცხოვნობა, მეცნიერების, იარაღისა და სამხედრო ტექნიკის განვითარების დონე, სტრატეგიული ნედლეულის არსებობა. ის ასევე დამოკიდებულია შეიარაღებული ძალების რაოდენობრივ და თვისებრივ შემადგენლობაზე, სამხედრო ტრადიციებზე, ფიზიკურ-გეოგრაფიულ პირობებსა და სხვ.

თანამედროვე სამხედრო ხელოვნება ომის წარმოებას განიხილავს სტრატეგიულ, ოპერატიულ, ტაქტიკურ დონეებზე (იხ. სურათი 1). ისინი ისე მჭიდროდ უკავშირდებიან ერთმანეთს, რომ მკვეთრად განსაზღვრულიც კი არ არის ზღუდეები თუ საზღვრები. გარდა ამისა, ისინი ერთმანეთთან აკავშირებენ პასუხისმგებლობისა და დაგეგმვის დონეებს, უზრუნველყოფენ იდეების თავმოყრას, პრობლემების განხილვასა და მათი გადაჭრის გზების ძიებას. მიუხედავად ტექნოლოგიების განვითარებისა, ომის დონეებად დაყოფა კვლავ არსებითია, რადგან „ომის ერთ დონეზე მიღებული გადაწყვეტილებები ომის ყველა სხვა დონეზე ახდენს გავლენას“¹.

ომის სტრატეგიულ დონეში იგულისხმება სახელმწიფოს ეროვნული მიზნების მისაღწევად სამხედრო ძალის გამოყენება, რომელიც ინტეგრირებულია სახელმწიფოს სიძლიერის ინსტრუმენტებთან. ამ დონეზე ქვეყანა განსაზღვრავს ეროვნულ სტრატეგიულ მიზნებსა და მიმართულებებს უსაფრთხოების სფეროში, მიზნების მისაღწევად ქმნის და იყენებს სახელმწიფო რესურსებს. თანამედროვე კონვენციური ტიპის საბრძოლო მოქმედებების წარმართვისთვის ძირითადად ჩამოყალიბებულია განადგურებისა და გამოფიტვის კლასიკური სამხედრო სტრატეგიები.

„საქართველოს ეროვნული სამხედრო სტრატეგია“, რომელიც დამტკიცებულია 2014 წელს, ასახავს შეიარაღებული ძალების წინაშე არსებულ ახალ რეალობებს და უსაფრთხოების სფეროში თავდაცვის დაგეგმვის სტრატეგიული დონის დოკუმენტებით განსაზღვრულ ტენდენციებს. აღნიშნული დოკუმენტი ადგენს საქართველოს შეიარაღებული ძალების სამხედრო მიზნებს, ამოცანებსა და შესაძლებლობებს. ნაშრომის ამ ნაწილში განვიხილავთ რა კლასიკურ სამხედრო სტრატეგიებს, შევეცდებით უსაფრთხოების გარემოსა და შესაძლებლობების გათვალისწინებით რეკომენდაცია გავუწიოთ ომის წარმოების იმ სტრატეგიას, რომელიც უფრო ოპტიმალური შეიძლება იყოს სახელმწიფოსთვის სასურველი შედეგის მისაღწევად კონკრეტულ ვითარებაში დასახული ამოცანის მისაღწევად.

განადგურების სტრატეგიის მიზანია ძალისმიერი მეთოდებით გამოიწვიოს მოწინააღმდეგე ან აიძულოს იგი, რომ გამართოს გადამწყვეტი ბრძოლები, რომელთა მთავარი მიზანი მოწინააღმდეგის ძალების სრული განადგურება იქნება. თუ განადგურების სტრატეგიის მთავარი იარაღი არის ბრძოლა, გამოფიტვის სტრატეგია ცდილობს, თავი აარიდოს მოწინააღმდეგის ძირითად ძალებთან გენერალური ბრძოლების გამართვას და ამის საწინააღმდეგოდ მიმართავს უფრო მანევრულ და ერთგვარ „ემშაკურ“ ხერხს, რომელიც გულისხმობს მოწინააღმდეგის სუსტი წერტილების მოწინააღმდეგე, განსაკუთრებული დანიშნულების სამიზნეების განადგურებასა და მის დასუსტებას, რითაც მტერს ბრძოლის სურვილს აკარგვინებს.

როდესაც მოწინააღმდეგე ცდილობს გადამწყვეტი ბრძოლისათვის თავის არიდებას ან ზავის დადებას, ეს იმაზე მეტყველებს, რომ მას არ აქვს არჩეული განადგურების სტრატეგია და იგი აღიარებს მოწინააღმდეგის უპირატესობას. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ გამოცდილი სარდალი, რომელმაც იცის საკუთარი და მოწინააღმდეგის შესაძლებლობები, არასდროს დათანხმდება ზავს, თუ მისი გაცილებით დიდი უპირატესობა არ იკვეთება. ხშირად განადგურების სტრატეგია

¹ „FM 3-0 Operations“ – აშშ 2017 წელი

არის ერთადერთი გზა ომის მოგებისა. მაგალითად, 1918-21 წლების რუსეთ-საქართველოს ომში რუსეთის უპირველესი მიზანი იყო საქართველოს სამხედრო ძალის განადგურება, რის შემდეგაც მას ეხსნებოდა გზა ქვეყნის დასაკავებლად და პოლიტიკური მიზნების მისაღწევად.

ძლიერი და დიდი ქვეყნის უპირველესი მიზანი, როგორც აღვნიშნეთ, მონინალმდეგის სრული განადგურებაა. 2008 წლის აგვისტოს ომში რუსეთის ამოცანა, გარდა ქვეყნის მნიშვნელოვანი ობიექტების განადგურებისა, ჩვენი შეიარაღებული ძალების სრული განადგურება და დემორალიზაცია იყო. ეს მაგალითი ცხადყოფს, რომ, თუ შეიარაღებულ ძალებს შეუძლიათ ბრძოლაში წინააღმდეგობის გაწევა, განადგურების სტრატეგიის მიხედვით, იგი მტრისთვის პირველ სამიზნეს წარმოადგენს.

თანამედროვე ომებიდან გამოფიტვის კლასიკურ მაგალითს წარმოადგენს ავღანეთში საბჭოთა კავშირის ომი. ამ ომში ავღანელები მოქმედებდნენ განსხვავებული ტაქტიკით, როგორცაა: ფსიქოლოგიური ზემოქმედება, მცირემასშტაბიანი გამომფიტავი შეტაკებები. ასეთი ტაქტიკით ისინი აიძულებდნენ მონინალმდეგს უარი ეთქვა ბრძოლაზე. ამკარაა, რომ აღნიშნულმა სტრატეგიამ გაამართლა.

განადგურების სტრატეგიის მაგალითია ნატოს კოალიციური ძალების მხრიდან 1991 წელს ერაყში განხორციელებული ოპერაცია „უდაბნოს ქარიშხალი“, რომლის მთავარ მიზანს წარმოადგენდა მონინალმდეგის საბრძოლო პოტენციალის განადგურება. ეს იყო კონვენციური ტიპის ომი, რომელშიც ძალებით აღმატებულმა მხარემ (კოალიციურმა ძალებმა) გამოიყენა განადგურების სტრატეგია და მიზანსაც მიაღწია. ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ განადგურების სტრატეგია ყოველთვის არის ძლიერი მხარის სწორი არჩევანი.

გამოფიტვის სტრატეგიის საილუსტრაციოდ შესაძლოა განვიხილოთ გიორგი სააკაძის მოქმედებები ირანელების წინააღმდეგ. იგი არასდროს ყოფილა მტერთან პირდაპირ შეხების მომხრე. ყოველთვის არჩევდა მოულოდნელ სიტუაციებს, ხელსაყრელ პოზიციებს და მცირე, თუმცა მნიშვნელოვანი დარტყმებით მონინალმდეგის ძალების შესუსტებას ახერხებდა. გავისწავლოთ მარტყოფის ბრძოლა 1625 წლის 25 მარტს, რომელშიც მან დიდი მოხერხებით დაამარცხა მონინალმდეგე; ასევე – მარაბდის ბრძოლა იმავე წლის 1 ივლისს. ქართველთა მარცხის მიუხედავად, შემდგომ დღეებში ქსნის ხეობაში პარტიზანული ბრძოლებით ირანელების 12 000-იანი ლაშქარი სრულად განადგურდა. ასეთი მოქმედებებით ქართლ-კახეთის წინააღმდეგ ბრძოლებში, საბოლოო ჯამში, ირანის 120 000-იანი ლაშქარი განახევრდა. ამკარაა, რომ გამოფიტვის სტრატეგია მოითხოვს მეტ განსჯას, სტრატეგიულ ხედვას, ასეთ დროს რთულდება მოქმედება, ამიტომაცაა, რომ უფრო ძლიერი მხედართმთავრები, რომლებსაც შედარებით ნაკლები ძალა ჰყავდათ, უპირატესობას გამოფიტვის სტრატეგიას ანიჭებენ.

ამრიგად, როგორც გამოფიტვის, ისე განადგურების სტრატეგიას აქვს მოქმედების თავისებურებანი: ერთისთვის ბრძოლა ძირითადი საშუალებაა, მეორისთვის – ერთ-ერთი; ერთისთვის მონინალმდეგის ძირითადი ძალებია მთავარი სამიზნე, მეორისთვის – ნებისმიერი რამ, რითაც ზიანს მიაყენებს მტერს; ერთისთვის ომის მიმდინარეობისას ბრძოლები ერთ თანმიმდევრულ ჯაჭვს წარმოადგენს, მეორისთვის – სხვადასხვა ბრძოლებს ერთმანეთთან კავშირი არ აქვს; თუ ერთისთვის მთავარი მიზანი მონინალმდეგის ძალების სრული განადგურებაა, რათა მიაღწიოს სასურველ შედეგს და აიძულოს იგი უარი ეთქვას შემდგომ ბრძოლებზე, მეორის მთავარი ამოცანა არა მონინალმდეგის სრული განადგურება, არამედ ომამდელ ვითარებაზე უკეთესი მდგომარეობის მიღწევაა.

აქედან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ სწორედ გამოფიტვის სტრატეგია იქნება ერთ-ერთი ძლიერი იარაღი შედარებით სუსტი ძალისთვის, რომელსაც არ შესწევს ძალა გადამწყვეტი ბრძოლები აწარმოოს და პირდაპირ დაუპირისპირდეს მონინალმდეგს. სამხედრო უსაფრთხოების განმტკიცებისთვის ამ სტრატეგიის პრინციპების გამოყენება უნდა აისახოს ეროვნულ სამხედრო სტრატეგიაში და შესაბამისად მომზადდეს თავდაცვის ძალები. გამოფიტვის სტრატეგია აგრეთვე ითვალისწინებს ასიმეტრიული ტიპის საბრძოლო მოქმედებებს. ამის ყველაზე ნათელი მაგალითია უძველესი დროის ბრძოლა ბიბლიურ გოლიათსა და დავითს შორის. რა მოხდებოდა, თუ მხოლოდ ფიზიკური ძალით შეებრძოლებოდნენ ისინი ერთმანეთს? ალბათ, ძნელი წარმოსადგენი არაა.

ომის ოპერატიული დონე წარმოადგენს ოპერატიულ ხელოვნებას. იგი მოიცავს სტრატეგიული საბოლოო მდგომარეობის მისაღწევად საომარი კამპანიისა და ფართომასშტაბიან ოპერაციებში ტაქტიკური ძალების გამოყენებას. ოპერატიულ დონეზე მოქმედებებში ძირითადად ჯარების რამდენიმე სახეობა მონაწილეობს. მათი მოქმედებები კოორდინირებულია დროში, სივრცეში და ორიენტირებულია სამოქმედო რაიონში სტრატეგიული ან ოპერატიული მიზნების მიღწევაზე. ეს მოქმედებები ტარდება ერთდროულად ან თანმიმდევრულად საერთო გეგმის თანახმად და იმართება ერთი მეთაურის მიერ.

სამხედრო კუთხით ჩვენი ქვეყნის გეოგრაფიული მდგომარეობა და რელიეფი, დასახლებული რაიონების განლაგება და კიდევ სხვა მრავალი ფაქტორი გვკარნახობს (ან გვაიძულებს), რომ საომარი მოქმედებები ვანარმოთ აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით. შესაბამისად, საქართველოს სამხედრო უსაფრთხოების გარემოს თვალსაზრისით, თავდაცვის ძალთა სტრუქტურაში გათვალისწინებულია ოპერატიული დონის სარდლობები (აღმოსავლეთ სარდლობა და დასავლეთ სარდლობა). მათი საომარი მოქმედებების თეატრი წინასწარ არის განსაზღვრული, მაგრამ მნიშვნელოვან დილემად რჩება მცირე რესურსების პირობებში გადამწყვეტი ოპერაციების წარმოება მოახლოების მარშრუტებისა თუ მნიშვნელოვანი დასახლებული პუნქტების დასაცავად.

თუ გავყვებით კლავსიკური განმარტებას ომის შესახებ, რომლის თანახმადაც, ომი გახლავთ პოლიტიკის გაგრძელება ძალადობის გზით, შეგვიძლია ეტაპობრივი განვრცობის საფუძველზე მივიღეთ იმ დასკვნამდე, რომ ნებისმიერი პოლიტიკური ვითარება შესაბამისად უნდა იყოს გამოხატული ჯარების განლაგებით გეოგრაფიულ სივრცეში და, პირიქით, სამხედრო-ოპერატიულ ვითარებას (ანუ ჯარების განლაგებას გეოგრაფიულ სივრცეში) უნდა შეესაბამებოდეს სახელმწიფოთა შორის პოლიტიკური მდგომარეობა. ეს ასევე არის. ჯარების განლაგება ადგილმდებარეობაზე პოლიტიკურ ვითარებას ასახავს. აღნიშნული პრინციპი სრულად არის გათვალისწინებული საქართველოს სამხედრო უსაფრთხოების ჭრილში.

მონინალმდეგის ჯარების განადგურება ხშირ შემთხვევაში მხოლოდ ბრძოლის მიზნის მიღწევის პირობაა (ისიც არა

ყოველთვის) და მეტი არაფერი. როგორც სუნ ძი ამბობს: „ყველაზე კარგი ომია, შეინარჩუნო მონინალმდევის ჯარები მთლიანად“. ბრძოლის მიზანი დასახლებულ პუნქტებში, განსაკუთრებით მსხვილმასშტაბიან ქალაქებში, „შესწრება“ და მათი „განწყობის“ მოპოვება. ქალაქებისა და დასახლებული პუნქტების დაპყრობა-დაუფლების მიზანი მოსახლეობის კეთილგანწყობის მოპოვება უნდა იყოს და არა, მაგალითად, ქალაქის განაპირას ბრძოლაში მისი დამცველი ჯარების განადგურება. ბრძოლების დამთავრების შემდეგ ოკუპირებულ ტერიტორიაზე სამხედრო რეჟიმი მუდმივად ვერ გაგრძელდება. მართვა სამოქალაქოებს უნდა გადაეცეთ. მართვის ის სტრუქტურა და ფორმა, რომელიც ოკუპაციის შემდეგ უნდა დამკვიდრდეს, მისაღები უნდა იყოს ადგილობრივი მოსახლეობისთვის. წინააღმდეგ შემთხვევაში, ვითარება არასტაბილური იქნება და ადრე თუ გვიან ისევ ბრძოლამდე და ომამდე მივა. მაშინ ომის მიზანიც დაიკარგება და ბრძოლისაც.

ვითარების უკეთ წარმოსაჩენად, შეგვიძლია შევთანხმდეთ და ფრონტის ხაზის მიმდებარე დასახლებულ პუნქტს (მეომარ მხარეთა შორის სადავო სოფელს, ქალაქს...) პირობითად მივანიჭოთ ორი ერთმანეთის საპირისპირო ნიშანი „პლუსი“ და „მინუსი“. თუმცა აქ პლუსი და მინუსი ნეგატიურსა და პოზიტიურს არ ნიშნავს. ეს ნიშნებია, რომლებიც მეომარ მხარეებს აქვთ. ქალაქში მნიშვნელოვანად იზრდება ხოლმე იმ ნიშნის წილი, რომელიც ნიშნის მქონე ჯარებიც მას უახლოვდებიან. ამიტომ, თუ ერთი მათგანი დაიკავებს ქალაქს და მოაწყობს მისი დაცვის სისტემას, მეორე მხარეს მისი დაბრუნებისა და „ნიშნის“ სათავისოდ შეცვლისთვის გაცილებით მეტი ძალისხმევა დასჭირდება, ვიდრე დასჭირდებოდა მაშინ, თუ იგი შესწრებდა, დაიკავებდა ჯერ კიდევ „თავისუფალ“ ქალაქს და მოაწყობდა მისი დაცვის სისტემას ან შეებრძოლებოდა მონინალმდევს „ნიშნის“ მქონე ჯარებს და დაამარცხებდა მას ქალაქის მისადგომებთან. რომელიმე მხარის მიერ ქალაქის დაკავების შემდეგ ქალაქში ყალიბდება წესწყობილება (თუნდაც რეჟიმი), რომელიც საბოლოოდ თრგუნავს და გამოდევნის მისი სანინალმდევს „ნიშნის“ მატარებელ საზოგადოებას. უმჯობესია, თუ ასეთი საზოგადოება (ანუ „დაპირისპირებული ნიშანი“) საერთოდ აღარ არის ან უმნიშვნელოა.

შემოაღნიშნული შეგვიძლია განვიხილოთ ჩვენი ქვეყნისთვის მოსალოდნელი სამხედრო საფრთხეების გათვალისწინებით. აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს ორ ოპერატიულ მიმართულებაზე მნიშვნელოვანია საკვანძო ქალაქების დაცვა, ხოლო მიახლოების მარშრუტების დაცვა მხოლოდ მაფორმირებელი ოპერაციის კუთხით უნდა განიხილებოდეს. ეს მოგვცემს საშუალებას წინასწარ მოვემზადოთ, გავამაგროთ ქალაქები თავდაცვითი ბრძოლებისთვის. მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ მონინალმდევს გადაამწყვეტ ბრძოლებს გავუმართავთ მხოლოდ მოახლოების მარშრუტებზე და დავმარცხდებით, შეუძლებელი იქნება ოპერაციების შემდგომი ეტაპის განხორციელება და მხოლოდ უკანდახეული ძალებით ქალაქის დაცვა. ამის ნათელი მაგალითია 2020 წლის აზარბაიჯანისა და სომხეთის ომი, როდესაც ყარაბაღის სამხრეთ ფრონტზე დამარცხებულმა და უკანდახეულმა სომხურმა ძალებმა ვეღარ მოახერხეს ქალაქ შუშას შენარჩუნება. ამიტომ ოპერატიული ხელოვნების ჭრილში საჭიროა თითოეულ ოპერატიულ მიმართულებაზე სამანევრო ძალების პროპორციული გადანაწილებით: 1/2 ან მეტი ძალებით საკვანძო ქალაქების, ხოლო შედარებით მცირე ძალებით მიახლოების მარშრუტების დაცვა.

ომის ტაქტიკური დონე არის სამხედრო ხელოვნების შემადგენელი ნაწილი, რომელიც მოიცავს ქვედანაყოფებისა და ნაწილების ბრძოლისთვის მომზადებას, წარმოების თეორიასა და პრაქტიკას. საქართველოს თავდაცვის ძალებში ტაქტიკურ დონეზე მოქმედი სამხედრო დოქტრინები დაფუძნებულია აშშ-ის უსაფრთხოების გამონვევებზე საპასუხოდ. შესაბამისად, იგი სრულად არ არის მორგებული ჩვენს სამხედრო ტექნიკურ შესაძლებლობებზე, ასევე არ ითვალისწინებს რიცხობრივად და შეიარაღებით აღმატებულ მონინალმდევსთან ბრძოლის თეორიას. აღნიშნული თვალსაჩინო ხარვეზის გამოსასწორებლად საჭიროა საომარი მოქმედებების თეატრისა და სავარაუდო პირობითი მონინალმდევის შესწავლა, ასევე არსებული შეიარაღებისა და ტექნიკის შესაძლებლობების გათვალისწინება სამხედრო უსაფრთხოების გაძლიერების მიზნით.

როგორც უკვე ავღნიშნეთ, გამოფიტვის სტრატეგია მოითხოვს გენერალური ბრძოლების თავიდან არიდებას, რომლის მიღწევა შესაძლებელია საბრძოლო ძალის ტაქტიკურად სწორი გამოყენებით. ტაქტიკურ დონეზე ყველა ქვედანაყოფი, მიუხედავად ტიპისა, ქმნის ან ინარჩუნებს საბრძოლო ძალას, რაც ხელს უწყობს ოპერაციების ჩატარებას. მეთაურები უზრუნველყოფენ, რომ საერთო-საჯარისო ძალებს ჰქონდეთ საკმარისი პოტენციური საბრძოლო ძალა, რათა შეძლონ სრული სპექტრის ოპერაციების ელემენტების კომბინირება პირობების შესაბამისად. საბოლოოდ, სახმელეთო ძალები ახდენენ საბრძოლო ძალის კომბინირებას მონინალმდევის დასამარცხებლად და ვითარების სამართავად. მეთაურები აბალანსებენ ლეტალური და არალეტალური ხასიათის მასირებული ზემოქმედების უნარს და სინქრონიზებულად ამ ზემოქმედების მომხდენი ქვედანაყოფების გაშლისა და უზრუნველყოფის საჭიროებას.

დამატებითი და ერთმანეთის შემავსებელი ეფექტების მიღწევა მოითხოვს სინქრონიზაციას, ინიციატივასა და უნივერსალობას. სინქრონიზებული მოქმედება არის ძირითადი ბაზისი. მეთაურები განლაგებენ სისტემებს სივრცესა და დროში მაქსიმალური ეფექტის მისაღწევად. მდგომარეობის შეცვლის შესაბამისად მეთაურები ბრძანების გარეშე აერთიანებენ სამხედრო ქვედანაყოფებს, თავდაცვით სისტემებსა და ქმნიან ახალ კომბინაციებს მონინალმდევის რთულ მდგომარეობაში ჩასაყენებლად. სათანადოდ კომბინირებული საშუალებები წარმოშობენ ასიმეტრიას, რომელსაც საერთო-საჯარისო ძალები იყენებენ.

ასიმეტრიული დარტყმებით დილემის წინაშე შეიძლება აღმოჩნდეს მონინალმდევის სამხედრო ძალები. ამ შემთხვევაში იგი ხდება მნიშვნელოვანი, ხშირად გადაამწყვეტი, როცა განსხვავების ხარისხი ანიჭებს საგნობრივ უპირატესობას ერთ მხარეს. ასიმეტრიული ბრძოლები შეიძლება იყოს უკიდურესად დამანგრეველი, განსაკუთრებით, თუ სამიზნე არ არის მზად, დაიცვას თავი ასიმეტრიული საშიშროებისაგან. ასიმეტრია შეიძლება შემცირდეს დროის მანძილზე თუ მონინალმდევები ეჩვენებენ განსხვავებას. უფრო ფართო გაგებით, ასიმეტრიული ბრძოლის დროს ცდილობენ მოერიდონ მონინალმდევის ძლიერ მხარეებთან შეხვედრას და დარტყმა მოახდინონ შედარებით სუსტ მხარეებზე.

ამრიგად, ჩვენი ქვეყნის თანამედროვე სამხედრო უსაფრთხოების სისტემის მუდმივი განვითარების პირობებში, თავდაცვის ძალების აღმშენებლობისთვის მნიშვნელოვანია სამხედრო საფრთხეებზე დროული და ეფექტიანი რეაგირება,

ომის წარმოების თანამედროვე ხერხებისა და მეთოდების გამოყენება. ვფიქრობთ, ნაშრომში განხილული გამოფიტვის სტრატეგია სუსტი ძალისთვის იქნება ერთ-ერთი ძლიერი იარაღი, რომლის საშუალებითაც შევძლებთ გადამწყვეტი ბრძოლა ავირიდოთ თავიდან და დროში განვლილი მოქმედებებით დავასუსტოთ მოწინააღმდეგე. ორ ოპერატიულ მიმართულებაზე საკვანძო ქალაქების დაცვით საქართველოს თავდაცვით ძალებს საშუალება გაუჩნდება წინასწარ მოამზადონ ურბანული რაიონები, რაც გამორიცხავს მოწინააღმდეგის მიერ მოახლოების მარშრუტების დაკავებით ომის მოგებას. ბრძოლებში რიცხობრივად და შეიარაღებით აღმატებულ მოწინააღმდეგესთან ბრძოლაში ასიმეტრიული მოქმედების ტაქტიკის გამოყენება ერთიორად გაზრდის ქვედანაყოფების ბრძოლისუნარიანობას, რაც წარმატების წინაპირობა უნდა გახდეს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ნ. კონდარი, სუნ ძი, თბ. 2000
2. ვ. ვაციტაძე, სტრატეგიის საფუძვლები, თბ. 2007
3. ე. მეძმარიაშვილი, თავდაცვის გარემო და შეიარაღებული ბრძოლის საფუძვლები სამხედრო ინჟინრებისთვის, თბ. 2018
4. ნ. მიქაუტიძე, პოლიტიკა და სამხედრო სტრატეგია ურთიერთკავშირები და მათი ფორმირების მეთოდოლოგია სახელმწიფოში, თბ. 2015
5. ე. მეძმარიაშვილი, ქართული სამხედრო ენციკლოპედიური ლექსიკონი თბ. 2017
6. ლ. სანიკიძე, გიორგი სააკაძე, თბ. 1988
7. ეროვნული სამხედრო სტრატეგია, თბ. 2014
8. სპარსეთის ყურის ომი (ოპერაცია „უდაბნოს ქარიშხალი“ ნაწილი II <https://cecxi.wordpress.com/2014/05/01>
9. FM 3-0, Operations, 6 December 2017
10. J. Echevarria, Military Strategy, Oxford University 2017

პოსტ-სოციალისტური სივრცის ქვეყნების ურთიერთობა ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციასთან (პოლონეთისა და საქართველოს მაგალითზე)

მაკა ბენაშვილი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის
(საერთაშორისო ურთიერთობის პროგრამის) დოქტორანტი

ანოტაცია

ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაცია დაარსების დღიდან მსოფლიოში არსებული გამოწვევების საპასუხოდ მოქმედებს, სტაბილურობის დაცვა, წევრი სახელმწიფოებისთვის უსაფრთხო გარემოს გარანტიების შექმნა, პარტნიორ ქვეყნებთან პოლიტიკური სტაბილურობა მისი ვალდებულებაა. ამასთან, ხშირია ცხელ წერტილებში მისი სამხედრო ძალებით განხორციელებული სამშვიდობო მისიები, რომელშიც აქტიურად არიან ჩართულნი პარტნიორი ქვეყნებიც, რომელთა მიზანი ორგანიზაციის წევრობაა. ჩრდილოატლანტიკურმა ალიანსმა დღემდე რვა გაფართოება უკვე აწარმოვა, ეს განსაკუთრებით გამოჩნდა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, როდესაც რუსეთისგან, როგორც მისი სამართალ მემკვიდრისგან მოსალოდნელი საფრთხეების თავიდან აცილების მიზნით ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციამ დაიწყო გაფართოების პროცესი.

ალიანსისთვის მნიშვნელოვანი გახდა თანამშრომლობის გაფართოება პოსტ-სოციალისტური სივრცის ქვეყნებთან, რასაც სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს და საერთაშორისო პოლიტიკის აქტუალური საკითხია. წარმოდგენილ სტატიამ ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციის პოსტ-სოციალისტურ ქვეყნებთან ურთიერთობა გადმოცემული წევრი და მოკავშირე ქვეყნების, პოლონეთისა და საქართველოს მაგალითზე.

THE RELATIONSHIP OF POST-SOVIET COUNTRIES WITH THE NORTH ATLANTIC TREATY ORGANIZATION (EXAMPLES OF POLAND AND GEORGIA)

MAKA BENASVILI

Georgian Technical University
Faculty of Law and International Relations
(Program of International Relations) PhD student

ANNOTATION

The North Atlantic Treaty Organization has been working to meet the challenges of the world in terms of the inception, to maintain stability, to guarantee a safe environment for member states, and to maintain political stability with the partner countries.

At the same time, there are frequent peacekeeping missions carried out by the NATO military forces, in which partner countries are actively involved. The partner countries desire to gain the membership of NATO.

The North Atlantic Alliance has already expanded eight times to date, particularly the enlargements have taken place evidently after the collapse of the Soviet Union, NATO performs the expansions in order to evade potential threats from Russia, the legal successor of the soviet union

It has become much more important for the Alliance to expand cooperation with the countries of the post-socialist space, which is of strategic significance, since it is a crucial issue in terms of international politics.

This article presents the relations of the North Atlantic Treaty Organization with the post-socialist countries on the example of the member and allied countries, Poland and Georgia.

შესავალი

მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ ევროპის მთელ რიგ ქვეყნებში სოციალისტური მმართველობა დამყარდა, მათ შორის, 1947 წელს - პოლონეთში. საბჭოთა კავშირის გავლენის სფეროს ზრდას, რა თქმა უნდა, დემოკრატიული სახელმწიფოები ვერ შეეგუებოდნენ. იქიდან გამომდინარე, რომ ამ პერიოდში ევროპა დასუსტებული იყო, მხოლოდ „მარშალის გეგმა“ ვერ უზრუნველყოფდა საბჭოთა კავშირიდან მომდინარე საფრთხესთან გამკლავებას, 1949 წელს ჩრდილოეთ ამერიკისა და ევროპის ისტორიულ გაერთიანებას საფუძველი ჩაეყარა.

ჩრდილოატლანტიკური ალიანსი ცივი ომის პერიოდში საბჭოთა კავშირის საპირწონე, გამანეიტრალებელ ძალას წარმოადგენდა. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ნატო-ს დღის წერიკში დადგა ისეთი საკითხები, როგორცაა უსაფრთხოების გარანტიების შექმნისთვის ჰუმანიტარული დახმარებების განწვევა, ცხელ წერტილებში სამშვიდობო მისიით ოპერაციების ჩატარება. ალიანსისთვის მნიშვნელოვანი გახდა თანამშრომლობის გაფართოება პოსტ-სოციალისტური სივრცის ქვეყნებთან.

სტატიამი, საკვლევი თემატიკის გარშემო არსებული ლიტერატურისა და ოფიციალურ ვებ-გვერდებზე განთავსებული მასალის შესწავლის საფუძველზე, განვიხილავთ იმ ძირითად ფაქტორებს, რომლებმაც ხელი შეუწყო პოლონეთის, როგორც პოსტ-სოციალისტური სივრცის სახელმწიფოს ნატოში განწევრიანებას. ამასთანავე სტატიამი განხილულია, ნატო-საქართველოს თანამშრომლობის წინაშე არსებული მიღწევები და გამოწვევები.

პოლონეთის განწევრიანება ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციაში(NATO)

2019 წელს პოლონეთმა ნატოში განწევრიანების 20 წლისთავი აღნიშნა. ოფიციალური სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, პოლონეთის მოსახლეობის უმრავლესობის აზრით, (MON, 2020) ნატო-ს წევრობა ქვეყნის უსაფრთხოების გაუმჯობესებაზე უდიდეს გავლენას ახდენს. ამასთანავე, პოლონელთა ორი მესამედი ჰომოტიურად აფასებს ნატო-ს საქმიანობას, რომელიც მან მშვიდობის შენარჩუნებისა და შეიარაღებული კონფლიქტების პრევენციის კუთხით, ბოლო წლების განმავლობაში განახორციელა.

პოლონეთისა და ჩრდილოატლანტიკური ალიანსის ურთიერთობა 1989 წელს დაიწყო, როდესაც დემოკრატიულმა გარდაქმნამ პოლონეთს საშუალება მისცა, დამოუკიდებლად, ყოველგვარი გარე ძალების შემოქმედების გარეშე, განესაზღვრა საკუთარი უსაფრთხოების პოლიტიკა. იქიდან გამომდინარე, რომ ვარშავის პაქტი(WP) კვლავ მოქმედებდა პოლონეთმა თავისი უსაფრთხოების პოლიტიკის ნატოსთან დაკავშირება ეტაპობრივად განახორციელა. 1991 წელს ვარშავის ფაქტის დაშლის შემდეგ, პოლონეთის პრეზიდენტმა ლეხ ვალენსამ ნატო-ს შტაბბინაში ვიზიტისას განაცხადა, რომ პოლონეთს სურდა უსაფრთხო ევროპა, რომლისაც ნატო უზრუნველყოფდა. ალიანსის წევრობისკენ სავალ გზაზე, პოლონეთისთვის უმნიშვნელოვანესი ეტაპი იყო პარტნიორობა მშვიდობისთვის პროგრამაში(PFP) მონაწილეობა. აღნიშნული პროგრამა არ იძლეოდა ნატოში განწევრიანების გარანტიას, თუმცა მოიცავდა უსაფრთხოებისთვის ერთობლივ წრთვებსა და ნატო-ს პარტნიორობის კონსულტაციების შესაძლებლობას, რაშიც პოლონეთი აქტიურად ჩაერთო.

1994 წლის ივლისში, ვარშავაში პირველი ვიზიტის დროს, ბილ კლინტონმა განაცხადა, რომ ნატო-ს გაფართოება იგეგმებოდა, თუმცა არაფერი დაუკონკრეტებია, მომდევნო წელს კი აშშ-ს წარმომადგენელთა პალატამ მიიღო რეზოლუცია, რომელიც ითვალისწინებდა ნატო-ს გაფართოებას ჩეხეთის, პოლონეთის, სლოვაკეთისა და უნგრეთთან მიმართებაში. დეტროიტში სიტყვიტ გამოსვლისას პრეზიდენტმა კლინტონმა პირველად მიუთითა ნატო-ს გაფართოების კონკრეტული თარიღი - არა უგვიანეს 1999 წლისა, ალიანსის 50 წლის იუბილეზე.(W.J. Clinton, 1997) 1997 წლის ივლისში მადრიდში ნატო-ს სამიტზე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება პოლონეთის, ჩეხეთისა და უნგრეთის განწევრიანების შესახებ. მოლაპარაკებები დაიწყო 1997 წლის სექტემბერში, ოთხ ეტაპად ჩატარდა და ისეთ საკითხებს შეეხებოდა, როგორცაა თავდაცვის სფეროში თანამშრომლობა და პოლონეთის წევრობასთან დაკავშირებული ფინანსური საკითხები. წლის ბოლოს, ჩრდილოატლანტიკურმა საბჭომ ხელი მოაწერა განწევრიანების დოკუმენტებს პოლონეთის, ჩეხეთისა და უნგრეთისთვის. ამ პერიოდში პოლონეთის წარმომადგენლები ნატო-ს უწყებების უმეტესობაში უკვე მუშაობდნენ. პოლონეთის პირველი ელჩი ნატოში ენდრიუ ტოუპიკი იყო. 1999 წლის იანვარში ნატო-ს გენერალურმა მდივანმა ხავიერ სოლანამ ალიანსში განწევრიანების ოფიციალური მონწვევა გამოაქვეყნა. პოლონეთის გზა ნატოსკენ 1999 წლის 12 მარტს დასრულდა. ის ოფიციალურად გახდა ვაშინგტონის ხელშეკრულების მხარე და ნატო-ს წევრი.(B. Geremek, 1999)

მსოფლიოს ყველაზე ძლიერ სამხედრო ალიანსში განწევრიანებამ პოლონეთს მისცა უსაფრთხოების გარანტიები (ვაშინგტონის ხელშეკრულების მე -5 პუნქტი), ამასთანავე მისი პრესტიჟი საერთაშორისო ასპარეზზე გაიზარდა. პოლონეთი აქტიურად არის ჩართული ნატო-ს უსაფრთხოების დაცვის მისიებსა და წვრთნებში. 1996 წლიდან, ჯერ პარტნიორად, ხოლო 1999 წლიდან, ნატო-ს სრულუფლებიან წევრად, პოლონეთმა მონაწილეობა მიიღო 14 მისიაში და მოკავშირეთა ოპერაციებში. პოლონეთის სამხედრო ნაწილები წარმოდგენილია ნატო-ს სახმელეთო, საზღვაო და საჰაერო შენაერთებში. (MON, 2020) ეს ყოველივე პოლონეთს, სამხედრო ალიანსის საიმედო პარტნიორად აქცევს, როგორც მოკავშირეთა, ისე მესამე ქვეყნებისთვის.

მიუხედავად ალიანსის მხრიდან უსაფრთხოების გარანტიებისა, პოლონეთი ითვალისწინებს თავის წარსულ გამოცდილებას რუსეთიდან მომდინარე საფრთხესთან მიმართებით და დამოუკიდებლად აძლიერებს თავდაცვის პოტენციალს. საფრთხისთვის მზაობის აუცილებლობისკენ მიანიშნებს 2010 წლის 10 აპრილის მომხდარი ავიაკატასტროფის საეჭვო გარემოებები, რომელსაც 96 ადამიანი ემსხვერპლა, მათ შორის პოლონეთის პრეზიდენტი - ლეხ კაჩინსკი.(BBC News, 2010)

საქართველოს ჩრდილოატლანტიკური ინტეგრაციის მიღწევები და გამოწვევები

საქართველოს საგარეო უსაფრთხოების უმთავრეს პრიორიტეტს ჩრდილოატლანტიკური ორგანიზაციის წევრობა წარმოადგენს. 2008 წელს ჩატარებულ პლენისციტის შედეგების მიხედვით, ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის უმრავლესობამ(77%), ნატოში განწევრიანებას მხარი დაუჭირა.(ცესკო, 2008) დემოკრატიული პროცესების განვითარების

უმრუნველყოფის მიზნით საქართველომ, ალიანსისგან მიღებული რეკომენდაციების საფუძველზე, მთელი რიგი რეფორმები გაატარა.

საქართველო-ნატო-ს ურთიერთობა 1992 წლიდან, ჩრდილოატლანტიკური თანამშრომლობის საბჭოში განვერიანებით იწყება. 2004 წელს პოლონეთის მსგავსად საქართველოც შეუერთდა ნატო-ს პროგრამას "პარტნიორობა მშვიდობისთვის". წევრობაზე სურვილი კი ჩვენმა ქვეყანამ, პირველად 2002 წელს პრეზიდენტის განცხადებით ნატო-ს სამიტზე გააჟღერა. 2004 წლიდან ნატო-საქართველოს ურთიერთობა უფრო ინტენსიური გახდა, საქართველომ მიიღო ინდივიდუალური პარტნიორობის სამოქმედო გეგმა (IPAP). ხოლო, 2006 წლიდან საქართველომ პარტნიორობის ფორმატიდან, წევრობის კანდიდატობის - ასპირანტის ფორმატზე გადაინაცვლა (ID, 2006).

საქართველოს ევროატლანტიკურ ინტეგრაციას ხელს უშლის, მეზობელი ქვეყნის, რუსეთის ფაქტორი. ამის ნათელი მაგალითია 2008 წლის აგვისტოს ომი, რასაც წინ უძღოდა 2008 წლის 3 აპრილს გამართული ბუქარესტის სამიტი, სადაც ალიანსმა მიიღო უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილება, რომ საქართველო გახდებოდა ნატო-ს წევრი სახელმწიფო. რუსეთის მხრიდან განხორციელებული აგრესიის შემდგომ 2008 წლის 19 აგვისტოს ბრიუსელში გაიმართა საგანგებო სხდომა, რის შედეგადაც შეიქმნა ნატო-საქართველოს კომისია.

საქართველო, როგორც ევროატლანტიკური უსაფრთხოების მნიშვნელოვანი კონტრიბუტორი ქვეყანა, ინტენსიურად მონაწილეობს ნატო-ს სამშვიდობო მისიებში. ამ მხრივ აღსანიშნავია საქართველოს მონაწილეობა ავღანეთში წარმოებულ საერთაშორისო უსაფრთხოების მხარდაჭერ ოპერაციაში. (ISAF) სადაც საქართველოს ეკავა პირველი ადგილი არანევერ ქვეყნებს შორის კონტრიბუტორების რიცხობრივი თვალსაზრისით.

ნატო-საქართველოს ურთიერთობების გაუმჯობესების თვალსაზრისით, მნიშვნელოვანი ნაბიჯები იდგმება ბოლო წლების განმავლობაში. 2017 წლის მაისში თბილისში გაიმართა ნატო-ს საპარლამენტო ანსამბლეს სესია, სადაც მიღებულ იქნა დეკლარაცია საქართველოს ევროატლანტიკური ინტეგრაციის მხარდაჭერის თაობაზე. დოკუმენტში დეტალურად გაიხსენა ნატო-საქართველოს თანამშრომლობის ყველა მნიშვნელოვანი ასპექტი. ის ფაქტი, რომ სესია თბილისში გამართა, რა თქმა უნდა მიუთითებს თანამშრომლობის მაღალ დონეზე. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 2018 წლის ივლისში ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსის ბრიუსელის სამიტზე, უშუალოდ საქართველოს თემატიკაზე შეხვედრა პირველად გაიმართა, სადაც მიიღეს ნატო-საქართველოს კომისიის დეკლარაცია, რომელიც მოიცავს საქართველოსთვის ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს, როგორცაა ნატო-ს ურყევი მხარდაჭერა ქვეყნის დემოკრატიული განვითარების, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტისადმი. შეთანხმება აგრეთვე მოიცავდა საქართველოსა და ნატო-ს მუდმივმოქმედ სამღვაო ძალებს შორის ურთიერთობის გაღრმავების საკითხს.

მნიშვნელოვანი, რომ 2020 წლის 2 აპრილს ნატო-ს საგარეო საქმეთა მინისტერიალზე მიიღეს გადაწყვეტილება შავი ზღვის უსაფრთხოების კონტექსტში საქართველოსა და უკრაინის მხარდაჭერის ახალი ზომების თაობაზე. რაც მოიცავს საქართველოსა და უკრაინის უფრო მეტად ჩართვას შავ ზღვაზე დაგეგმილ ნატო-სა და წევრი-ქვეყნების სწავლებებსა და წვრთნებში; ჰიბრიდული საფრთხეების წინააღმდეგ თანამშრომლობის გაღრმავება; საქართველოს ჩართვა შავი ზღვის რეგიონის საპაერო სივრცის მონაცემთა გაცვლის რეგიონალურ პროგრამაში; უკრაინის უფრო მეტად ჩართვა ნატო-საქართველოს წვრთნისა და შეფასების ერთობლივი ცენტრსა (JTEC) და საქართველოს თავდაცვის ინსტიტუციური აღმშენებლობის სკოლაში (DIBS) დაგეგმილ ღონისძიებებში. (MFA, 2020)

დასკვნა

პოლონეთის მაგალითის გაანალიზება და საქართველოსთან პარალელების გავლება მნიშვნელოვნად მიმაჩნია. გამოდინარე იქიდან, რომ პოლონეთი არის პოსტ-სოციალისტური სივრცის ქვეყანა და მას რუსეთი ესაზღვრება ერთ-ერთი ყველაზე მილიტარიზებული, კალინგრადის ოლქით, პოლონეთმა შეძლო და ეტაპობრივად მიუახლოვდა ნატო-ს კარს. როგორც სტატიში ავღნიშნე პოლონეთმა ნატო-ს წევრობით მიიღო მთელი რიგი ბენეფიტები, პრესტიჟი საერთაშორისო საზოგადოებაში, უმაღლესი სტანდარტების მქონე თავდაცვის ძალები და უსაფრთხოების გარანტიები. მიუხედავად ამისა, პოლონეთი არ კმაყოფილდება, იაზრებს რა თავის ისტორიული გამოცდილებას, აძლიერებს თავდაცვის მექანიზმებს, რათა თავიდან აიცილოს რუსეთიდან შესაძლო მომდინარე საფრთხეები.

საქართველო აგრძელებს ნატო-ს წინაშე აღებული ვალდებულებების აქტიურად შესრულებას, რათა დაჩქარდეს ჩვენი ქვეყნის ევრო-ატლანტიკურ სივრცეში ინტეგრაცია, მიუხედავად საქართველოში არსებული ოკუპირებული ტერიტორიებისა, რომელიც აღიქმება შემაფერხებელ გარემოებად, საქართველოს აქვს მკაფიო მხარდაჭერა ალიანსში განვერიანებისთვის. აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებს გამოცდილი აქვთ საკუთარ მაგალითებზე რუსეთის აგრესია, შესაბამისად განსაკუთრებულად უჭერენ მხარს ალიანსის გაფართოებას. ამ მხრივ შეგვიძლია გამოვყოთ პოლონეთის მჭიდრო მხარდაჭერა საქართველოს ნატოში განვერიანების კუთხით. ვფიქრობ, საქართველომ უფრო ინტენსიურად უნდა აწარმოოს მოლაპარაკებები ევროპის წამყვან ნატო-ს წევრ სახელმწიფოებთან, რომ მიიღოს ამ ქვეყნების მხარდაჭერა.

აუცილებლად უნდა აღინიშნოს, სტრატეგიული თვალსაზრისით ნატო-სთვის საქართველოს მნიშვნელობა. კავკასიის რეგიონის სტრატეგიული მნიშვნელობა ჯერ კიდევ პოსტსაბჭოთა პერიოდში მნიშვნელოვნად გაიზარდა და მისი აქტუალობა უფრო და უფრო დიდ მასშტაბებს იძენს. ბოლო დროს, რეგიონში არსებული მწვავე დაპირისპირებების ფონზე, როგორცაა ყარაბაღის კონფლიქტი, რუსეთის სამხედროები სამშვიდობოების რანგში მოველინენ სომხეთს, რაც ჩრდილო-ატლანტიკური ორგანიზაციისთვის რუსეთიდან მომდინარე კიდევ ერთ სავარაუდო გამოწვევად აღიქმება. აქტუალური რჩება შავი ზღვის რეგიონის სტრატეგიული მნიშვნელობა ჩრდილოატლანტიკური ალიანსის წევრებისთვის, რადგანაც ის წარმოადგენს აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის დამაკავშირებელ ხიდს. ამ ყველაფრის ფონზე მნიშვნელოვანია, რომ ნატო-ს მიერ გამოცხადებული ღია კარის პოლიტიკა, საშუალებას აძლევს ამ რეგიონის ქვეყნებს ორგანიზაციაში განვერიანდეს რის შედეგადაც შავი ზღვის რეგიონის ევრო-ატლანტიკური უსაფრთხოების სივრცის მიჯნა გახდება.

საკვანძომ სიტყვები:

ნატო, პოსტ-სოციალისტური ქვეყნები, უსაფრთხოება, თანამშრომლობა, გაფართოება.

KEYWORDS:

NATO, post-socialist countries, safty, cooperation, enlargement, expansion.

გამოყენებული ლიტერატურა

1. At the ceremony of deposition of Protocols of Accession, speech of B. Geremek Minister of Foreign Affairs of the Republic of Poland, 1999. <https://www.nato.int/docu/speech/1999/s990312d.htm>
2. BBC News, "President Lech Kaczynski and scores of other senior Polish figures have been killed in a plane crash in Russia", UK , April 10, 2010. <http://news.bbc.co.uk/2/hi/europe/8612825.stm>
3. Central Election Commission of Georgia, Summary protocol of the results of January 5, 2008 plebiscite, January 15, 2008.
https://cesko.ge/geo/list/show/1167-saqartvelos-centraluri-saarchevno-komisiis-2008-wlis-5-ianvris-fbclid=lwAR2-5SiMycCOZfuJr66Khmqel9-PGoO3s6Gtx_IQg6z82OnxAgspo5lycbY
4. Ministry of Foreign Affairs of Georgia(MFA), NATO Ministers of Foreign Affairs Agree on New Measures to Support Georgia and Ukraine in the Context of Black Sea Security, last modified April 2, 2020
<https://mfa.gov.ge/News/2020-clis-2-aprils-nato-s-sagareo-saqmeta-minister.aspx?CatID=5>
5. Ministry of Foreign Affairs of Georgia(MFA), last modified: November 29,
<https://mfa.gov.ge/>
6. Ministry of National Defence of Poland(MON), Structure of the Ministry of National Defence, last modified November 29, 2020 <https://www.gov.pl/web/national-defence/structure>
7. North Atlantic Treaty Organization(NATO), NATO Intensified Dialogue to Georgia, Last update: August 23, 2012.
https://www.nato.int/cps/en/natohq/news_22173.htm?selectedLocale=en
8. North Atlantic Treaty Organization(NATO), Individual Partnership Action Plans(IPAP), Last updated: June 9, 2017.
https://www.nato.int/cps/en/natohq/topics_49290.htm
9. North Atlantic Treaty Organization(NATO), Partnership for Peace Programme, European and Euro-Atlantic Integration, Georgia-NATO relations, Last updated: March 23, 2020. https://www.nato.int/cps/en/natolive/topics_50349.htm
10. United States Information Agency, "Transcript of the Remarks by President W. J. Clinton To People Of Detroit", 1996. <https://www.nato.int/docu/speech/1996/s961022a.htm>

საზღვარგარეთის ქვეყნების ინტერესები საქართველოს პოტენციურ ეთნოკრიზისულ კერებში და მათი გავლენა რეგიონულ სტაბილურობაზე

პეტრა გელაშვილი
სსიპ სსსტკ „დელტა“

ანოტაცია

საერთაშორისო თანამეგობრობაში დამოუკიდებელი ეროვნული სახელმწიფოს სტატუსის, აგრეთვე იქ მიმდინარე პროცესების, მათ შორის ღია და ლატენტური ეთნოპოლიტიკური კონფლიქტების განმაპირობელი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ობიექტური გარემოებებია ქვეყნის გეოპოლიტიკური მდგომარეობა. ამასთან გასათვალისწინებელია ისიც, რომ სამხრეთ კავკასიის რეგიონი ყოველთვის იყო დიდი გეოპოლიტიკური თამაშების ავანსცენა და სწორად გეოპოლიტიკურ მოსაზრებებს შეეწირა რეგიონის პირველი დემოკრატიული რესპუბლიკები.

ამ თვალსაზრისით განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებენ საქართველოს პოტენციური ეთნოკრიზისული ვერები (ლათენტური ეთნოკონფლიქტური ზონები), რომლებიც სახელმწიფო საზღვრისპირა რაიონებს მოიცავენ და ქართველი მოსახლეობის სიმცირით გამოირჩევიან. ამასთან, დომინირებული ეთნიკური უმცირესობები ქმნიან ერთგვარ „ეთნიკურ მიკროტერიტორიებს“ და ცხოვრობენ საქართველოს იმ ტერიტორიებზე, რომლებიც ამ ეთნიკური ჯგუფის სამშობლოს ესაზღვრება. ამ ზონებში კონფლიქტის გაღვივება გამოიწვევს კავკასიაში გეოპოლიტიკური სტაბილურობის დარღვევას და კრიზისში თითქმის ყველა მეზობელი ქვეყნის ჩათრევას.

FOREIGN COUNTRY INTERESTS IN POTENTIAL ETHNIC CRISIS CENTERS OF GEORGIA AND THEIR IMPACT ON REGIONAL STABILITY

PETRE GELASHVILI
LEPL STC "DELTA"

ANNOTATION

The geopolitical position of a country is one of the most important objective circumstances conditioning the status of an independent national state within the international community, as well as processes going therein, including the open and latent ethno-political conflicts. At the same time, the fact that the South Caucasus region has always been the forefront of big geopolitical games and that the geopolitical considerations were exactly the altar of which the first democratic republics were sacrificed should also be taken into consideration. In this respect, a special attention deserve the potential sources of ethnic conflicts in Georgia (latent ethno-conflicting areas), which include Georgian border-crossing regions and are distinguished by a small number of the Georgian population. At the same time, the dominating ethnic minorities create the so-called "ethnic micro-territories" that live on the territories of Georgia bordering the native land of the given ethnic group. Fomenting a conflict in these areas will lead to geopolitical destabilization in the South Caucasus and drawing of almost all neighbor countries into the conflict

შესავალი

უკანასკნელ წლებში მსოფლიოში მიმდინარე პროცესების პარალელურად, უკვე დიდი ხანია ნათელი გახდა, რომ უმნიშვნელოვანესი სატრანსპორტო და ენერგეტიკული არტერიები საქართველოზე, მათ შორის ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ ტერიტორიებზე გაივლის, ამიტომაც აქ იკვეთება მრავალი სახელმწიფოს ეკონომიკური, გეოპოლიტიკური და საზღვარგარეთის ინტერესები, რომლებიც შეიძლება 3 ძირითად ჯგუფში გაერთიანდნენ:

1. რუსეთი, მისი სტრატეგიული მოკავშირე სახელმწიფოები - სომხეთი, ირანი, მათზე ორიენტირებული სახელმწიფოები;

2. თურქეთი და მისი სტრატეგიული მოკავშირე აზერბაიჯანი;

3. აშშ, ევროკავშირი და დასავლეთზე ორიენტირებული ქვეყნები.

აქვე უნდა ითქვას, რომ რამოდენიმე წლის წინ თურქეთის საგარეო პოლიტიკის ვექტორი დროებით დასავლეთიდან რუსეთისკენ გადაიხარა. მიუხედავად ამისა ისტორიული გამოცდილება, თურქეთისა და ამერბაიჯანის პრინციპული უთანხმოება და ინტერესების შეუთავსებლობა რეგიონში რუსეთის ძირითად სტრატეგიულ პარტნიორებთან ირანთან და სომხეთთან, აგრეთვე ჩრდილო-ატლანტიკურ ალიანსში თურქეთის წევრობა და მრავალი სხვა ფაქტორი რუსეთ-თურქეთის ურთიერთობების დათბობის გრძელვადიან პერსპექტივებს საეჭვოს ხდიდა და როგორც მოსალოდნელი იყო, სულ ცოტა ხანში ისინი კვლავ ურთიერთდაპირისპირებულ სტრატეგიულ ღერძებში აღმოჩნდნენ, რაც ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე კონფლიქტური პროცესების განვითარებაზეც აისახა.

ნიშანდობლივია, რომ ახალი აბრეშუმის გზისა და ეკონომიკური სარტყელის საპირწონედ რუსეთი ცდილობს პოსტსაბჭოთა სივრცეზე ეფექტური კონტროლის გაფართოვებას ევრაზიული ეკონომიკური კავშირის მეშვეობით. აღსანიშნავია, რომ, ჩინური პროექტისგან განსხვავებით ევრაზიული ეკონომიკური კავშირი უფრო იდეოლოგიურ-პოლიტიკურ პრინციპებზეა აგებული ვიდრე ეკონომიკურ მიზანშეწონილობაზე [1].

რუსეთის, ხელისუფლება პუტინის მეთაურობით ცდილობს საბჭოთა კავშირის პოლიტიკის ერთგვარ კოპირებას. ქმნის დასავლური დემოკრატიული ღირებულებების ირგვლივ გაერთიანებული პოლიტიკური და სამხედრო ორგანიზაციების (EU, NATO, OSCE etc) ალტერნატიულ გაერთიანებებს (EAEU, CSTO, BRICS). აღსანიშნავია, რომ თუ ევრაზიული ეკონომიკური კავშირი (Eurasian Economic Union) და ODKB (Collective Security Treaty Organization), საბჭოთა კავშირისა და ვარშავის პაქტის შედარებით სუსტ ვერსიებს წარმოადგენენ, BRICS-ი გაცილებით საინტერესო და მძლავრი გაერთიანებაა, რომლის წევრებიც, ანალიტიკოსების აზრით, მისწრაფიან ერთგვარი პოლიტიკური კლუბის შექმნისაკენ და ამგვარად თავიანთი მხარე „ეკონომიკური ძალაუფლების“ „დიდ გეოპოლიტიკურ გავლენად“ გარდაქმნისკენ [2, 3, 4].

ძირითადი ნაწილი.

საქართველოში, მათ შორის პოტენციურ ეთნოკრიზისულ ზონებში, უცხო სახელმწიფოების მისწრაფებების კონკრეტიზაციის მიზნით შესაძლებელია აღნიშნული ქვეყნების იტერესების შემდეგნაირი განხილვა:

რუსეთის ინტერესები

- საქართველოზე ზეწოლა;
- სომხეთის როგორც რუსეთის სტრატეგიული პარტნიორის მხარდაჭერა მის იმ მისწრაფებებში, რომლებიც რუსეთის ინტერესებს არ ეწინააღმდეგება;
- საქართველოს გავლით თურქეთ-ამერბაიჯანის, ჩრდილოეთ კავკასია-თურქეთის, ჩინეთი-შუა აზია-აღმოსავლეთ ევროპის, ირანი-შავი ზღვის რეგიონის სატრანსპორტო კომუნიკაციებისა და ენერგომატარებლების დერეფნის კონტროლი. ყოველივე ამას აქვს კონკრეტული გამოვლინებები:
 - რუსეთი მხარს უჭერდა საქართველო-თურქეთის დამაკავშირებელი სარკინიგზო მაგისტრალის გიუმრიზე გავლას, რითაც სამხედრო კონტროლს დაამყარებდა ამ ტრასის ფუნქციონირებაზე იქ დისლოცირებული სამხედრო ბაზის მეშვეობით;
 - რუსეთს სურს გააკონტროლოს ჩვენს ტერიტორიაზე გამავალი და პერსპექტივაში ასაშენებელი ნავთობისა და გაზის სატრანზიტო სადენები;
 - რუსეთმა ყველანაირად დაუჭირა მხარი სომხეთის მისწრაფებას ჰქონოდა ალტერნატიული სატრანსპორტო გზა ირანიდან, რითაც შესუსტებულია სომხეთის დამოკიდებულება საქართველოზე, რაც მნიშვნელოვან დაბრკოლებას წარმოადგენდა ჯავახეთის სომხური მოსახლეობის უფრო გაბედული მოქმედებისთვის, საქართველოს ხელისუფლებისადმი სხვადასხვა მოთხოვნების წაყენების თვალსაზრისით, რომელთაგან ყველაზე მნიშვნელოვანია პოლიტიკური ავტონომია;
 - ჯავახეთის პოლიტიკური ავტონომიის საკითხებს რუსეთი უკავშირებს საკუთარ პოლიტიკას აჭარის რეგიონის მიმართებაშიც;
 - რუსეთის პოლიტიკურ წრეებში საქართველოზე ზეწოლის მექანიზმი, აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის შემდეგ მოიაზრებოდა ჯავახეთისა და აჭარის პერსპექტივით [5].
 - რუსეთს ყოველთვის აწუხებდა პოსტსაბჭოთა სივრცის ქვეყნებს შორის მისგან დამოუკიდებელი კავშირების შექმნის საკითხი. რუსეთის გარკვეულ წრეებში ითვლება რომ დასავლეთის ვაპიტალის მეშვეობით ხდება შუა აზიისა და სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოთა გაერთიანება ანტირუსულ საფუძველზე. ამ კუთხით რუსეთი ხედავს საფრთხეს ერთმანეთზე ორიენტირებული, ახალი საკომუნიკაციო და ენერგეტიკული არტერიების გარშემო კონსოლიდირებული სახელმწიფოების მიერ ანტირუსული სამხედრო ბლოკის შექმნის სახით [5].
 - ამ თვალსაზრისით ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში გამოიყოფოდა ე.წ. „ანტირუსული ღერძი“ ტაშკენტი-ბაქო-თბილისი-კიევი. ამ ღერძის „სისუსტეთა“ აქტუალიზაცია მიმართული იყო ზემოთ აღნიშნული ხაზის „ჩახერგვაზე“. ჯავახეთის პრობლემაზე ამ კუთხით მოიაზრებოდა კონცეფციის ავტორთა მიერ. ცალკე აღნიშვნის ღირსია რომ კონცეფციის ერთ-ერთი თანაავტორია ეროვნებით სომეხი პოლიტოლოგი ა. მიგრანიანი. ამასთან, ყურადსაღებია რუსეთის მხრიდან სომხეთის სამხედრო ძლიერების გაზრდა [5].
 - კავკასიაში დესტაბილიზაციით უნდა დააფრთხონ ინვესტორები და შეაჩერონ აქ მსხვილი ფინანსური ნაკადების შემოდინება, რაც რეალურ საფუძველს გამოაცლის ამიერკავკასიის ქვეყნების დამოუკიდებლობას. ამ საკითხში რუსეთის მოკავშირედ ირანიც მოიაზრება.
 - რუსეთი საქართველოს მომავალს ფედერალურ მოწყობაში ხედავს;
 - რუსეთი საკუთარი კავკასიური პოლიტიკის გატარებისას განსაკუთრებულ როლს ანიჭებს ე.წ. „ოსეთის სოლს“, როგორც კავკასიის გაყოფისა ერთის მხრივ ვაინახურ და დაღესტნურ და მეორეს მხრივ ადიღურ ნაწილებად
 - რუსეთის ინტერესებშია აგრეთვე სტრატეგიულ მოკავშირესთან სომხეთთან სახმელეთო კომუნიკაციის არსებობა,

რომლის განხორციელება შესაძლოა მხოლოდ საქართველოს ტერიტორიის გავლით (ვორონეჟი-ვოლგოდონსკი-მომდოკ-კავკასიის საუღელტეხილო გზა).

სომხეთის ინტერესები

სომხეთი საკუთარი ინტერესების განხორციელებას ჯავახეთში ცდილობდა საკუთარი მიზნების რუსეთის მიზნებთან დამთხვევით. ბოლო დროს ჯავახეთში დესტაბილიზაციის მიმართ სომხეთის ხელისუფლებას ახლებური მიდგომა გაუჩნდა, რაც გავლენიანი (და არა მარტო შიგა) ძალების გააქტიურების შედეგად შეიძლება მივიჩნიოთ.

სომხეთის ინტერესებს ჯავახეთში შემდეგი გამოხატულება აქვს:

- სომხეთმა რუსეთთან ალიანსში უნდა აკონტროლოს აზერბაიჯან-თურქეთის საკომუნიკაციო დერეფანი;

- ჯავახეთის მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობა საქართველოზე გემოქმედების საშუალებად რჩება და უნდა შენარჩუნდეს. მოსახლეობას უნდა მიეცეს ეროვნული და კულტურული გრძნობების უფართოესი საშუალება. უნდა განვითარდეს გამჭვირვალე საზღვრები;

- შავ ზღვაზე გასასვლელის მიღება, რაც სომხეთის გავლით ირანიდან წამოსული ტვირთების გატარებასაც გულისხმობს, რასაც დამატებითი გეოპოლიტიკური მნიშვნელობა გააჩნია სომხეთისათვის. ამ მხრივ გასათვალისწინებელია, რომ ირანთან დამაკავშირებელ მიმართულებაზე განლაგებულია ე.წ. „ირანის აზერბაიჯანი“ მოსახლეობის შესაბამისი ეთნიკური შემადგენლობით. ჯავახეთის ეთნო-ტერიტორიული მახასიათებლები ამის დამბალანსებელ ფაქტორად გამოდგება. აქვე მნიშვნელოვანია ისიც, რომ სომხეთამდე საქართველოდან მიმავალი რკინიგზის ერთი მონაკვეთი გადის აზერბაიჯანელებით დასახლებულ ტერიტორიაზე (თბილისი-მარნეული-ალავერდი). გიუმრი ახალქალაქის მონაკვეთის გახსნა ამ პრობლემაზე დაარეგულირებდა სომხეთისთვის.

ამასთან სომხეთს უნდა აწუხებდეს საქართველო-აზერბაიჯანის ალიანსი, რომელიც კიდევ უფრო მკაფიოდ გამოიხატება, სომხეთის მხრიდან საქართველოს მიმართ ტერიტორიული პრეტენზიების წამოყენების შემთხვევაში

- სომხეთი გამალებით ეძებს მთიანი ყარაბაღის რესპუბლიკის ლეგიტიმაციის გზებს და ამ მხრივ ყოველგვარი ავტონომიები და თავისუფალი ეკონომიკური ზონები მისთვის საინტერესო იქნება.

თურქეთისა და აზერბაიჯანის ინტერესები

საქართველოს პოტენციური ეთნოკრიზისული ზონების მიმართ თურქეთისა და აზერბაიჯანის ინტერესები, საერთო კონტექსტში დაკავშირებულია საქართველოსა და სომხეთთან ურთიერთობებთან, აგრეთვე სატრანსპორტო და ენერგეტიკული მაგისტრალების უსაფრთხო ფუნქციონირებასა და რუსეთის სამხედრო ძალისგან მაქსიმალური დამოუკიდებლობის მიღწევასთან კავკასიაში. სატრანსპორტო კომუნიკაციის თურქეთისთვის გლობალური მნიშვნელობა აქვს ცენტრალური აზიისა (და არა მარტო ცენტრალური აზიის) რეგიონთან კავშირის თვალსაზრისითაც, რაც საქართველო-აზერბაიჯანის გავლით განხორციელდება. ამ მხრივ უნდა აღინიშნოს, რომ დიპლომატიური ურთიერთობის არ არსებობა გამოიწვევს სომხეთ-თურქეთისა და სომხეთ-აზერბაიჯანის სახელმწიფო საზღვარზე საბაჟო გადასასვლელების ამოქმედებას, ხოლო ჯავახეთში მდებარე ნინოწმინდის (საქართველო-სომხეთის საზღვარზე) და კარნახის (საქართველო-თურქეთის საზღვარზე) გამშვებებს შორის მიზერული დისტანცია და ადგილობრივი მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობა, პრაქტიკულად თურქეთსა და სომხეთს შორის უშუალო საკომუნიკაციო კონტაქტს უზრუნველყოფს.

თურქეთს სურს საქართველოს ტერიტორიის გავლით დაუკავშირდეს სტრატეგიულ მოკავშირეს - აზერბაიჯანს და სხვა რეგიონებს, თუმცა არ სურს ამ კომუნიკაციაში რაიმეი დამოკიდებული იყოს რუსეთის სამხედრო ძალისგან, აგრეთვე სომხეთისაგან.

თურქეთს ასევე აწუხებს სომხეთის მხრიდან ქურთისტანის მხარდაჭერის პრობლემა, რაზედაც არაერთგზის გამოუთქვამს უკმაყოფილება.

ირანის ინტერესები

ირანის ძირითადი ინტერესი საქართველოს პოტენციურ ეთნოკრიზისული ზონების მიმართ განპირობებულია სომხეთ-საქართველოზე გამავალი მაგისტრალის არსებობით, აგრეთვე რუსეთთან სამხედრო პარტნიორობით.

ირანს თურქეთთან გავლენის გაფართოების წინააღმდეგაც რუსეთთან თანამშრომლობა აწყობს, ხოლო „ირანის აზერბაიჯანის“ პრობლემის გამო, ირანი სომხეთთან გაცილებით ახლოა ვიდრე ერთმორწმუნე შიიტურ აზერბაიჯანთან.

სომხეთ-საქართველოზე გამავალი მაგისტრალი ირანს ჩინეთიდან და შუა აზიიდან წამოსული

ტვირთების საკუთარ ტერიტორიაზე გატარების საშუალებას მისცემს, რაც შექმნის ალტერნატიულ სატრანსპორტო დერეფანს, რომელიც აზერბაიჯანსა და თურქეთის გვერდის ავლის ხარჯზე მეტ გავლენას მიაჩნებს ირანს, როგორც შუა აზიაში, ისე კავკასიაში.

აშშ, ევროკავშირის და დასავლეთში ორიენტირებული ქვეყნების ინტერესები

აშშ-ს, ევროკავშირის და დასავლეთში ორიენტირებული ქვეყნების ძირითადი ინტერესი საქართველოს პოტენციური ეთნოკრიზისული ზონების მიმართ ასევე უკავშირდება რუსეთის კონტროლისგან თავისუფალი ახალი სატრანსპორტო და ენერგეტიკული დერეფნების შექმნას და მათ უსაფრთხო ფუნქციონირებას. თუმცა აქვე უნდა ითქვას, რომ აშშ-ს, რომელიც რეგიონში დასავლელი პარტნიორებიდან ყველაზე დიდი აქტიურობით, მიზანმიმართულობით და თანამიმდევრულობით გამოირჩევა, შესაძლოა სამხედრო-პოლიტიკური ინტერესებიც ამოძრავებდეს, ვინაიდან ზოგიერთი მკვლევარის აზრით ვაშინგტონისთვის სამხრეთ კავკასიაში გეოპოლიტიკური ინტერესები ეკონომიკურზე პრიორიტეტულია. ამ მოსაზრებას ამყარებს ცნობილი ამერიკელი პოლიტოლოგის ზიგნევი ბეჟინსკის მოსაზრებაც, რომლის თანახმადაც ამერიკას რეგიონში მხოლოდ ენერგომატარებლები არ აინტერესებს, არამედ გეოპოლიტიკური ჰეგემონიაც [6]. ზოგადად პოსტსაბჭოთა სივრციდან და კონკრეტულად ჩვენი რეგიონიდან ამერიკის მიერ რუსეთის შესაძლო განდევნის მცდელობაზე

ნუხილმა არც რუსი ექსპერტები, მათ შორის ა. დუგინი დატოვა გულგრილი [7]. ამასთან გასათვალისწინებელია ევრო-ატლანტიკური სივრცის უსაფრთხოებისთვის კავკასიის რეგიონის ფუნდამენტურ სტრატეგიულ მნიშვნელობასთან დაკავშირებით საქართველოს პოლიტიკური ისტებლიზაციის და დასავლელი პარტნიორების აღქმებს შორის გარკვეული განსხვავება, რასაც საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციის ანალიზის დროს განსაკუთრებულად აღნიშნავს ნილ მაკფარლენი (Neil MacFarlane). მაკფარლენის აზრით, ქართველების წარმოდგენები კავკასიის სტრატეგიულ მნიშვნელობაზე ენერგეტიკული უსაფრთხოების, აგრეთვე პარტნიორების სამხედრო ძალებისთვის ახლო აღმოსავლეთში ლოჯისტიკური დახმარების თვალსაზრისით და რეგიონის პოტენციური გამოყენების შესაძლებლობა საჭიროების შემთხვევაში ირანის წინააღმდეგ წარმოებული აქტივობის პლატფორმისთვის და ამასთან დაკავშირებული მათი მოლოდინები შესაძლოა გადამეტებული იყოს და განსხვავდებოდეს იმისგან, რისი გაღებაც სურთ დასავლეთის სახელმწიფოებსა და მათ ინსტიტუტებს საქართველოსთვის [8].

აქვე აღსანიშნავია, რომ ყოფილი საბჭოთა ბლოკის წევრ ქვეყნებს, განსაკუთრებით უკრაინას, პოლონეთსა და ბალტიისპირეთის სახელმწიფოებს მკაფიო ხედვები გააჩნიათ საქართველოს ევროატლანტიკური ინტეგრაციის მიმართულებით განვითარებასთან დაკავშირებით, ვიდრე ეს შესაძლოა მიაჩნდეთ ევროკავშირისა და პოსტსაბჭოთა სივრცის სხვა წარმომადგენლებს. სწორად ამ ხედვებმა განაპირობა აღმოსავლეთ პარტნიორობის ინიციატივა.

დასკვნები და რეკომენდაციები

ზოგადად უნდა ითქვას, რომ რუსეთს არ გააჩნია მკაფიოდ გამოხატული გრძელვადიანი მიდგომა საქართველოს პოტენციური ეთნოკრიზისული კერების მიმართ, თუმცა ამდგომების თეორიულ ვარიანტებს ხშირად აღწერენ სხვადასხვა ძალები, მაგრამ ამ ვარიანტების პრაქტიკული რეალიზაცია იძლევა იმის თქმის საშუალებას, რომ რუსეთის პოლიტიკა ჯერ-ჯერობით საკმაოდ არათანმიმდევრულია და თუ ამ პოლიტიკას მაინც გააჩნია რაიმე თანამიმდევრულობა, ის ყოველთვის საქართველოს სახელმწიფო ინტერესების საზიანოა.

თუ სომხეთის ოფიციალური ხელისუფლება ერთხელ და სამუდამოდ არ დაიკავებს მტკიცე უარყოფით პოზიციას ჯავახეთის პოლიტიკური ავტონომიის მიმართ, მაშინ გარკვეულ ძალებს საშუალება მიეცემა დესტაბილიზაციის ახალი კერა გააჩინონ საქართველოში, რასაც შორს მიმავალი უარყოფითი შედეგები ექნება მთელი რეგიონისთვის, მათ შორის სომხეთისთვის.

ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში სხვადასხვა სახელმწიფოს ინტერესების ანალიზი საშუალებას გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ რეგიონში ძალთა დაბალანსებას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება, რაც თავის მხრივ დიდ როლს შეასრულებს მეზობელ ქვეყნებს შორის ურთიერთობების დალაგებაში, გეოპოლიტიკური სტაბილურობის უზრუნველყოფასა და ახალი კრიზისული კერების შექმნის თავიდან აცილებაში.

საკვანძო სიტყვები:

ლატენტური ეთნოკონფლიქტური ზონები, გეოპოლიტიკა, სამხრეთ კავკასია, სახელმწიფო ინტერესები

KEYWORDS:

Latent ethno-conflicting areas, geopolitics, South Caucasus, state interests

გამოყენებული ლიტერატურა

1. შაპავა ვ. ცენტრალური კავკასიის ქვეყნები და ევრაზიულ ეკონომიკურ კავშირში განვითარების პერსპექტივა. თბ., თსუ. კულტურულ-საისტორიო ძიებანი II, 2018. 33-43 გვ. ISBN 978-9941-13-784-6.
2. BRICS, ხელმისაწვდომია: <https://en.wikipedia.org/wiki/BRICS> უკანასკნელად გადამოწმდა 23.05.2020
3. List of countries by GDP (PPP), ხელმისაწვდომია: [https://en.wikipedia.org/wiki/List_of_countries_by_GDP_\(PPP\)](https://en.wikipedia.org/wiki/List_of_countries_by_GDP_(PPP)) უკანასკნელად გადამოწმდა: 23.05.2020
4. Dreaming With BRICs: The Path to 2050, ხელმისაწვდომია: <https://www.goldmansachs.com/insights/archive/archive-pdfs/brics-dream.pdf> უკანასკნელად გადამოწმდა 23.05.2020
5. Урушадзе Э. Вопросы постсоветского пространства и российско-грузинских отношений во внешнеполитическом мышлении современной России // Россия и Грузия: диалог и родство культур. / Материалы международного симпозиума (Тбилиси, 3–6 сентября 2003 г.) Санкт-Петербург : Санкт-Петербургское философское общество, 2003. С.334-339. ხელმისაწვდომია: <https://anthropology.ru/ru/text/urushadze-e/voprosy-postsovetskogo-prostranstva-i-rossiysko-gruzinskih-otnosheniy-vo> უკანასკნელად გადამოწმდა 23.05.2020
6. 26. Бжезинский З. Великая шахматная доска. М., Издательский дом: Международные отношения. 1998, с. 128 ISBN: 5-7133-0967-3 ხელმისაწვდომია: https://royallib.com/book/bgezinskiy_zbignevelikaya_shahmatnaya_doska.html უკანასკნელად გადამოწმდა 23.05.2020
7. Дугин А. Геополитика как эффективный метод современной российской политической теории и практики // Научная мысль Кавказа. 2008, с.5-13.
8. S. Neil MacFarlane. Georgia: National Security Concept versus National Security. Center for Social Sciences, Tbilisi and University of Oxford August 2012/ Published in association with Center for Social Sciences, Tbilisi https://www.chathamhouse.org/sites/default/files/public/Research/Russia%20and%20Eurasia/0812pp_macfarlane.pdf

„ბაერო“-სა და „ეუთო“-ს როლი რუსეთ-საქართველოს თანამედროვე კონფლიქტის გადაჭრის საქმეში

შოთა ოთხოზორია

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტი
დოქტორანტურის მესამე კურსის სტუდენტი
ხელმძღვანელი: პროფესორი რევაზ მიშველაძე

ანოტაცია

საერთაშორისო თანამეგობრობაში დამოუკიდებელი ეროვნული სახელმწიფოს სტატუსის, აგრეთვე იქ მიმდინარე პროცესების, მათ შორის ღია და ლატენტური ეთნოპოლიტიკური კონფლიქტების განმაპირობელი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ობიექტური გარემოებებია ქვეყნის გეოპოლიტიკური მდგომარეობა. ამასთან გასათვალისწინებელია ისიც, რომ სამხრეთ კავკასიის რეგიონი ყოველთვის იყო დიდი გეოპოლიტიკური თამაშების ავანსცენა და სწორად გეოპოლიტიკურ მოსაზრებებს შეეწირა რეგიონის პირველი დემოკრატიული რესპუბლიკები.

ამ თვალსაზრისით განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებენ საქართველოს პოტენციური ეთნოკრიზისული კერები (ლათენტური ეთნოკონფლიქტური ზონები), რომლებიც სახელმწიფო საზღვრისპირა რაიონებს მოიცავენ და ქართველი მოსახლეობის სიმცირით გამოირჩევიან. ამასთან, დომინირებული ეთნიკური უმცირესობები ქმნიან ერთგვარ „ეთნიკურ მიკროტერიტორიებს“ და ცხოვრობენ საქართველოს იმ ტერიტორიებზე, რომლებიც ამ ეთნიკური ჯგუფის სამშობლოს ესაზღვრება. ამ ზონებში კონფლიქტის გაღვივება გამოიწვევს კავკასიაში გეოპოლიტიკური სტაბილურობის დარღვევას და კრიზისში თითქმის ყველა მეზობელი ქვეყნის ჩათრევას.

THE ROLE OF THE UN AND THE OSCE IN RESOLVING THE ONGOING RUSSIA-GEORGIA CONFLICT

SHOTA OTKHOZORIA

Georgian Technical University
Faculty of Law and International Relations
Third-year doctoral student

SUPERVISOR: PROFESSOR REVAZ MISHVELADZE

ANNOTATION

The ongoing Russian-Georgian conflict dates back to the 1990s and continues to this day with transitional intensity. Also, various reputable international organizations and institutions have been involved in the peaceful settlement of the conflict since the 1990s, and their efforts continue to date. The present paper discusses the role of the “United Nations” and the “Organization for Security and Co-operation in Europe” in resolving the ongoing Russia-Georgia conflict, which have been involved in conflict resolution activities from the outset. However, despite their high authority in the international political system, they not only failed to contribute to the resolution of the conflict, but also failed to avoid the five-day armed confrontation between Russia and Georgia in August 2008.

Based on the analysis of the literature reviewed during development of the paper, as well as the existing legal documents related to the conflict, we will see why the mediation efforts of the “United Nations” and the “Organization for Security and Cooperation in Europe” in resolving the current Russia-Georgia conflict have not been effective.

შესავალი

რუსეთ-საქართველოს შეიარაღებული კონფლიქტი, მიუხედავად იმისა, რომ მან კულიმინაციას 2008 წლის აგვისტოში მიაღწია, იგი 2008 წელს არ დანყვებულა. ეს კონფლიქტი სათავეს XX საუკუნის 90-იანი წლებიდან იღებს და დღემდე გრძელდება. ამ წლების განმავლობაში საქართველო ილწვის, რათა გამოვიდეს კონფლიქტური მდგომარეობიდან და რუსეთთან ნორმალური, საერთაშორისო სამართალზე დაფუძნებული კეთილმეზობლური ურთიერთობა ჩამოაყალიბოს. თუმცა, მიუხედავად კონფლიქტის მშვიდობიანი გზით დარეგულირების მრავალგზის მცდელობისა, საქართველოს პოლიტიკურმა ლიდერებმა რუსეთის ხელისუფლებასთან საერთო ენის გამონახვა და კონფლიქტური მდგომარეობიდან გამოსვლა ვერ შეძლეს.

რუსეთ-საქართველოს თანამედროვე კონფლიქტის გადაჭრის საქმეში თავიდანვე იყვნენ ჩართულნი: „დსთ“, „ეუთო“ „გაერო“ და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციები. თუმცა, ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ სანამ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა უკიდურესად არ დაიძაბა და 2008 წლის აგვისტოს ომში არ გადაიზარდა, საქართველოს ტერიტორიაზე მიმდინარე შეიარაღებული დაპირისპირებები საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ, როგორც რუსეთ-საქართველოს კონფლიქტი არც კი განიხილებოდა.¹ კონფლიქტის მოგვარება კი მასში ჩართული თითოეული მხარის და მათი ინტერესების ნათლად განსაზღვრის გარეშე ყოვლად წარმოუდგენელია. ამ ელემენტალური ჭეშმარიტების გათვალისწინების გარეშე ახორციელებდნენ საერთაშორისო ორგანიზაციები შუამავლის როლს, რუსეთ-საქართველოს გაჭიანურებულ კონფლიქტში.

კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების საკითხებთან დაკავშირებით, საქართველოს ხელისუფლება იმედებს მეტწილად „გაერო“-სა და „ეუთო“-ზე ამყარებდა. ამასთან, საქართველოს მოსახლეობაში გადაჭარბებულ მოლოდინებს ქმნიდა, განსაკუთრებით 90-იანი წლების დასასრულსა და 2000-იანი წლების დასაწყისში. თუმცა, ამ ავტორიტეტულმა ორგანიზაციებმა, არათუ კონფლიქტის საბოლოოდ გადაჭრა, არამედ რუსეთ-საქართველოს ახალი შეიარაღებული დაპირისპირების თავიდან აცილებაც კი ვერ შეძლეს. ვინაიდან, ეს ორგანიზაციები არაეფექტურობით გამოირჩევიან ისეთი კონფლიქტების მოგვარების საქმეში, სადაც საერთაშორისო ურთიერთობის სისტემის ძირითადი მოთამაშეები ირიბად ან პირდაპირ არიან ჩართულნი.

„გაერთიანებული ერების ორგანიზაციის“ როლი

საქართველოში „გაერო“-ს სამშვიდობო ძალისხმევა 1993 წლიდან გააქტიურდა. 4 აგვისტოს, „გაერო“-ს გენერალური მდივანი, „აფხაზეთში ცეცხლის შეწყვეტისა და მასზე კონტროლის მექანიზმის შემუშავების შესახებ“, 1993 წლის 27 ივლისის ქალაქ სოჭში მიღწეული შეთანხმების გასაკონტროლებლად, გაეროს სამხედრო დამკვირვებელთა 10 კაციანი მენიანვე ჯგუფის განლაგებასთან დაკავშირებით, წინადადებით გამოვიდა. უშიშროების საბჭომ წინადადებას მხარი დაუჭირა და მისიის მენიანვე ჯგუფის შტაბბინა 1993 წლის 8 აგვისტოს სოხუმში განლაგდა.

1993 წლის 24 აგვისტოს 858-ე რეზოლუციით, გენერალურმა მდივანმა, 88 სამხედრო დამკვირვებლისა და სამოქალაქო პირთა მინიმალური შემადგენლობით, საქართველოში გაერთიანებული ერების სადამკვირვებლო მისიის დაფუძნება (UNOMIG) გადაწყვიტა. მისიას დაევალა: „ა) ცეცხლის შეწყვეტის შესახებ 1993 წლის 27 ივლისის შეთანხმების შესრულების შემოწმება;“ „ბ) ცეცხლის შეწყვეტის დარღვევათა შესახებ შეტყობინებათა გამოძიება და კონფლიქტში ჩაბმული მხარეების ძალისხმევის ამგვარი ინციდენტების მოსაწესრიგებლად გამოყენება;“ „გ) თავისი მანდატის განხორციელების თაობაზე გენერალური მდივნისათვის მოხსენების წარდგენა, ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმების დარღვევების ჩათვლით.“² თუმცა, „გაერო“-ს მანდატით განსაზღვრული ღონისძიებები უსუსური და არაეფექტური აღმოჩნდა. რუსეთის შეიარაღებული ძალების უშუალო მხარდაჭერით, „კონფედერატების“ შეიარაღებულმა ქვედანაყოფებმა სოჭის შეთანხმება დაარღვიეს და 1993 წლის 16 სექტემბერს, ქართული სამხედრო დანაყოფებიდან დაკლილი სოხუმის შტურმი განახორციელეს, რასაც შემდგომში რუსეთის მიერ აფხაზეთის სრული ოკუპაცია და ქართული მოსახლეობის ეთნიკური წმენდა მოჰყვა.³

1994 წლის 4 აპრილს, „გაერო“-ს ლტოლვილთა საქმეთა უმაღლესი კომისარის მონაწილეობით, ქალაქ მოსკოვში ხელი მოეწერა ოთხმხრივ შეთანხმებას ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა ნებაყოფლობითი დაბრუნების შესახებ. მხარეები შეთანხმდნენ, რომ „ლტოლვილთა და ადგილნაცვალ პირთა ნებაყოფლობით რეპატრაციას და მათ უსაფრთხოებას უზრუნველყოფენ“.⁴ ამისთვის, 1994 წლის 21 ივლისს „გაერო“-ს 937 რეზოლუციით მისი დამკვირვებელთა რაოდენობა 136 მეთვალყურედ გაიზარდა, რომელთა მოვალეობაში სხვა ფუნქციებთან ერთად, იძულებით ადგილნაცვალ პირთა და ენგურის გასწვრივ განლაგებული „დსთ“-ს ვგრეთწოდებული სამშვიდობო ძალების მიერ განხორციელებული მოქმედების მონიტორინგი შედიოდა.⁵ თუმცა, როგორც შემდგომში განვითარებულმა მოვლენებმა აჩვენა, ამ შეთანხმებების ის პუნქტები რომლებიც ლტოლვილთა და ადგილნაცვალ პირთა, ადრინდელ

¹ Independent International Fact-Finding Mission on the Conflict in Georgia “Report” Volume II. (September 2009), 17-18.

² UNITED NATIONS Security Council, RESOLUTION 858 (24 August 1993) <http://unscr.com/en/resolutions/doc/858> (13.11.2020)

³ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა, კონფლიქტის ქრონოლოგია. <http://abkhazia.gov.ge/page/conflictCronology> (13.11.2020)

⁴ UNITED NATIONS General Assembly, UNHCR ACTIVITIES FINANCED BY VOLUNTARY FUNDS: REPORT FOR 1993-1994 AND PROPOSED PROGRAMMES AND BUDGET FOR 1995 (A/AC.96/825/Part III/7 3 August 1994), 3-7. <https://www.unhcr.org/4ddcbf119.pdf> (13.11.2020)

⁵ UNITED NATIONS Security Council, RESOLUTION 937 (21 July 1994) <http://unscr.com/en/resolutions/doc/937> (13.11.2020)

საცხოვრებელ ადგილებზე უპირობოდ დაბრუნებას ითვალისწინებდა არ შესრულებულა. უფრო მეტიც, 1998 წლის 20–26 მაისის ცნობილი გალის მოვლენების დროს, „გაერო“-ს მისიამ ვერ შეძლო ადგილობრივი მოსახლეობის უსაფრთხოების უზრუნველყოფა და ახალი ეთნონმენდის თავიდან აცილება. აფსუა სეპარატისტებმა დაახლოებით 30–40 ათასი ეთნიკურად ქართველი მოქალაქე საკუთარი საცხოვრებელი ადგილებიდან აყარეს და აიძულეს მდინარე ენგურის მარცხენა მხარეს გადასულიყვნენ.⁶

„გაერო“-ს მისია უკიდურესად არაეფექტური აღმოჩნდა, „2008 წლის აგვისტოს რუსეთ-საქართველოს ომის“ დროსაც, როცა ევრეთნოდებულმა „დსთ“-ს სამშვიდობო ძალებმა დაივიწყეს თავიანთი სამშვიდობო მისია და ისე მოახდინეს საქართველოს ტერიტორიების ოკუპაცია, რომ გაეროს მანდატზე ყურადღება არც კი მიუქცევიათ. ამასთან დაკავშირებით გაეროს უშიშროების საბჭომ მხოლოდ, მორიგი რეზოლუცია მიიღო, მიესალმა 2008 წლის 12 აგვისტოს „მედვედევი-სარკოზის“ ექვს პუნქტიან შეთანხმებას და ხაზი გაუსვა ძალის გამოყენების დროს თავშეკავების აუცილებლობის პრინციპებს.⁷ მის მიერ ადრე მიღებული და შეუსრულებელი რეზოლუციები, არც ამჯერად დავიწყებია და თითოეული მათგანის შეუსრულებლობასთან დაკავშირებით „შემფოთება“ კიდევ ერთხელ გამოთქვა. 2009 წლის 15 ივნისს კი, გაეროს უშიშროების საბჭოს სხდომაზე, საქართველოში „გაერო“-ს სადამკვირვებლო მისიისთვის მანდატის“ ორი კვირის ვადით გაგრძელებასთან დაკავშირებული რეზოლუციის პროექტს „ვეტო“ დაადო.

„გაერო“-მ, როგორც 2003 წელს ვერ აღკვეთა, ამერიკის შეერთებული შტატებისა და დიდი ბრიტანეთის სამხედრო ძალების ერაყში შეჭრა, ასევე ვერ შეძლო საქართველოს წინააღმდეგ რუსეთის მიერ განხორციელებული ღია აგრესიის შეჩერება, 2008 წელს.⁸ ვინაიდან მას ამ შესახებ მნიშვნელოვან გემოქმედების რეალური ძალები და საშუალებები არ გააჩნია. ამ ქვეყნებს კი „გაერო“-ზე გავლენის მოხდენის ეფექტური მექანიზმები გააჩნიათ და ისინი ამ მექანიზმებს საჭიროების შემთხვევაში მარტვედ იყენებენ. ერთ-ერთი ასეთი ეფექტური ბერკეტი ვეტოს უფლების გამოყენებაა. რუსეთმა, როგორც „გაერო“-ს ისე „ეუთო“-ს, შემთხვევაში, საქართველოში მრავალწლიანი სადამკვირვებლო მისიის მანდატის მოქმედება სწორედ, რომ „ვეტოს“ გამოყენებით დაასრულა.⁹

„ეპროკაში უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის“ როლი

„ეუთო“-ს მისია ცხინვალის რეგიონში მიმდინარე კონფლიქტის მოგვარების სამშვიდობო პროცესში 1992 წლის 24 ივლისს, „საქართველო-ოსეთის კონფლიქტის მონესრიგების პრინციპების შესახებ“ სოჭში ხელმოწერილი შეთანხმების შემდეგ ჩაერთო. მისიის შემადგენლობა -ოფისის თავმჯდომარის სპეციალური წარმომადგენლით, მისი ორი დიპლომატიური მრჩეველით და ოთხკაციანი სამხედრო ჯგუფით დაკომპლექტდა.¹⁰ მისიას, მანდატით -პოლიტიკური ჩარჩოების შექმნის ხელშეწყობა განესაზღვრა, რომელის ფარგლებშიც „ეუთო“-ს პრინციპებზე და ვალდებულებებზე დაფუძნებული ხანგრძლივი პოლიტიკური შერიგება უნდა მიღწეულიყო. ამავე გადანყვეტილების მეორე პუნქტით, ოფისის თავმჯდომარის პერსონალურ წარმომადგენელს ცეცხლის სტაბილურად შეწყვეტისა და კონფლიქტის პოლიტიკური მოგვარების მიზნით, აფხაზეთში მიმდინარე კონფლიქტის მხარეებისათვის მოლაპარაკების ჩარჩოების ჩამოყალიბებაში დახმარება უნდა აღმოეჩინა.¹¹ 1997 წლის 22 აპრილიდან კი ქალაქ ცხინვალში ამოქმედდა „ეუთო“-ს მისიის ქვეგანყოფილება, რომელიც თბილისში განთავსებულ მისიის შტაბს ექვემდებარებოდა.¹² იმავე წელს „ეუთო“-სა და აფხაზეთში განთავსებულ „გაერო“-ს ადამიანის უფლებების ოფისთან ხელმოწერილი იქნა შეთანხმება, რომლის საფუძველზეც, აფხაზეთში ადამიანის უფლებების მდგომარეობის მონიტორინგისთვის მივლინებული იქნა ერთი ოფიცერი. შემოაღნიშნული გადანყვეტილებისა და გატარებული ზომების მიუხედავად „ეუთო“-ს მისიის ძალისხმევას, როგორც აფხაზეთში, ისე ცხინვალის რეგიონში პოზიტიური შედეგები არ მოჰყოლია. განსაკუთრებით აფხაზეთში, სადაც 1992-93 წლებში, ვერ მოხერხდა ცეცხლის შეწყვეტის სტაბილური შენარჩუნება და რაიმე წინსვლა არც ადამიანის უფლებების დაცვის გაუმჯობესების მხრივ მომხდარა. უფრო მეტიც, პერმანენტულად ირღვეოდა კონფლიქტის ზონაში დარჩენილი საქართველოს მოქალაქეების უფლებები, მეტწილად ქართველი ეროვნების მოქალაქეებისა.

1999 წლის 15 დეკემბრის 334-ე გადანყვეტილებით რუსეთ - საქართველოს საზღვრის მონაკვეთებზე მონიტორინგის დაწესების მიზნით „ეუთო“-ს მისიის შემადგენლობა 20-მდე გაიზარდა.¹³ 2004 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, „საზღვრის კონტროლის მისია“ რუსეთ - საქართველოს საზღვრის -ჩეჩნეთის, ინგუშეთის, და დაღესტანის რესპუბლიკების მონაკვეთებზე

⁶ Independent International Fact-Finding Mission on the Conflict in Georgia “Report” Volume II. (September 2009), 83.

⁷ UNITED NATIONS Security Council, RESOLUTION 1866 (13 February 2009). <http://unscr.com/en/resolutions/doc/1866> (13.11.2020)

⁸ ჰიერ დე სენარკლენი და იოან არიფენი. საერთაშორისო პოლიტიკა თანამედროვე თეორიები და ამოცანები. მეხუთე გამოცემა მთარგმნ. ნ. ცქიტიშვილი, (ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი თბილისი – 2014), 31.

⁹ ევა წამალაშვილი, გაეროს მისია საქართველოში საქმიანობას წყვეტს. რადიო თავისუფლება. (ივნისი 16, 2009). <https://www.radiotavisupleba.ge/a/1755754.html> (13.11.2020).

¹⁰ Organization for Security and Co-operation in Europe. Establishment of the Personal Representative of the Chairman-in-Office for Georgia. 17th CSO Meeting, 6 November 1992, Journal No. 2, Annex 2 (6 November 1992). <https://www.osce.org/georgia-closed/22213> (13.11.2020)

¹¹ იქვე.

¹² Organization for Security and Co-operation in Europe Permanent Council. 18th Plenary Meeting PC Journal No. 18, Point 5(a). DECISION No. 38. (27 April 1995). <https://www.osce.org/pc/20254?download=true> (13.11.2020)

¹³ Organization for Security and Co-operation in Europe. Permanent Council. 262nd Plenary Meeting PC Journal No. 262, Agenda item 4. DECISION No. 334. (15 December 1999). <https://www.osce.org/pc/27908?download=true> (13.11.2020)

მონიტორინგს ახორციელებდა.¹⁴ თუმცა, მიუხედავად საქართველოს ხელისუფლების მრავალგზის მოთხოვნისა რუსეთ-საქართველოს საზღვრის ჩრდილოეთ ოსეთის რესპუბლიკის მონაკვეთზე მონიტორინგის დაწესება არ განხორციელდა. უფრო მეტიც, რუსეთმა მონიტორინგის შემდგომ გაგრძელებას საერთოდ „ვეტო“ დაადო და 2004 წლის ბოლოს, საზღვრის შემოთ ალნიშნულ მონაკვეთებზე კონტროლი შეწყდა.¹⁵

2004 წლის „რუსეთ-საქართველოს ზაფხულის კრიზისის“ განმავლობაში რუსეთის მხრიდან პერმანენტულად ხდებოდა ცხინვალის რეგიონში საბრძოლო ტექნიკისა და შეიარაღების არალეგალურად შემოტანა.¹⁶ ერთ-ერთი ასეთი განმარტებული შემთხვევა, რომელზეც საქართველოს ხელისუფლებამ მწვავე განცხადებები გააკეთა 2004 წლის ივნისში დაფიქსირდა. 11 ივნისს, 160-170 ერთეული სატვირთო მანქანისგან შემდგარმა კოლონამ, რომელიც საბრძოლო იარაღითა და საბრძოლო მასალებით იყო დატვირთული, გადმოლახა რუსეთ-საქართველოს სახელმწიფო საზღვრის „სამაჩაბლოს“ მონაკვეთი და ჯავის რაიონში განლაგდა. თუმცა საქართველოში „ეთო-ს სადამკვირვებლო მისიამ“ მონიტორინგი განახორციელა და ალნიშნული ფაქტი ვერ დაადასტურა.¹⁷ ალნიშნული შემთხვევა რჩება „საქართველოში ეთო-ს სადამკვირვებლო მისიის“ არაეფექტურობის კიდევ ერთი უტყუარი დადასტურება.

„2008 წლის აგვისტოს რუსეთ-საქართველოს ომის“ დროს, პერსონალის უსფრთხოების მიზნით, ცხინვალის „სავლეთ ოფისი“ ევაკუირებულ იქნა და შემდგომ საქმიანობას 2009 წლის 30 ივნისამდე კარაღეთის „მენიავე მონიტორინგის ბაზიდან“ ახორციელებდა.¹⁸ 2009 წლის პირველი იანვრიდან კი საქმიანობის შეწყვეტის რეჟიმზე გადავიდა. ვინაიდან მისიის მანდატის შემდგომ გაგრძელებას რუსეთმა მხარი არ დაუჭირა და „ეთოს“ მისიის 17 წლიანი უშედეგო მოღვაწეობა საქართველოში ასე დაასრულა.¹⁹

შეიძლება დაბეჭივებით ითქვას, რომ „ეთო“-ს მისიის მუშაობა საქართველოში არაეფექტური აღმოჩნდა. მან ვერ შეძლო 2004 წლის ცნობილი მოვლენების დროს კონფლიქტის ესკალაციისა და 2008 წლის რუსეთს-საქართველოს ომის თავიდან აცილება. ცხინვალში ამოქმედებული სავლეთ ოფისის მიერ განხორციელებული მონიტორინგის მიუხედავად, სადამკვირვებლო მისიამ ვერ შეძლო კონფლიქტის ზონაში, ეგრეთწოდებულ „მოხალისეთა“, და რუსეთის შეიარაღებული ძალების ქვედანაყოფების უკანონო გადაადგილების დაფიქსირება და მათ შესაჩერებლად, რაიმე ქმედითი ღონისძიებების გატარება.²⁰

დასკვნა

კვლევის ფარგლებში განხორციელებული ანალიზის შედეგად, რუსეთ-საქართველოს კონფლიქტის მაგალითზე, ნათლად იკვეთება, რომ „გაერო“ და „ეთო“ მიუხედავად თავიანთი დიდი ავტორიტეტულობისა, გადანყვებილების მიღების პროცესში დამოკიდებულნი არიან შესახელმწიფოების პოლიტიკურ ინტერესებზე და მათი ამა, თუ იმ კონფლიქტში ჩართულობის ხარისხზე, რაც კონკრეტული კონფლიქტის მოგვარებასთან დაკავშირებულ საკითხთა განხილვის დროს, საბოლოო ჯამში ამ ორგანიზაციების ეფექტურობას განსაზღვრავს.

რუსეთი, რომელიც კონფლიქტის მეორე მხარეა – „გაერო“-სა და „ეთო“-ს ისეთივე წევრია, როგორც საქართველო, მაგრამ იგი უფრო მაღალ წონით კატეგორიაში გამოდის და ამ ორგანიზაციებზე შემოქმედების უფრო ქმედითი ბერკეტები გააჩნია, ვიდრე საქართველოს. შესაბამისად ამ საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ კონფლიქტის მოსაგვარებლად შემუშავებული ნებისმიერი ეფექტური მექანიზმი, თუ იგი რუსეთის ინტერესებს დაუპირისპირდება, ამ უკანასკნელის მიერ დაუყოვნებლივ იქნება დაბლოკილი. ვინაიდან რუსეთს ყოველთვის შეუძლია ისარგებლოს „ვეტო“-ს უფლებით.

რომ შევჯავამოთ, „გაერო“-სა და „ეთოს“-ს მისიების რუსეთ-საქართველოს თანამედროვე კონფლიქტის მოგვარებასთან დაკავშირებით გამოყენება არაეფექტურია და მათთან მიმართებაში წარმატების მიღწევის მოლოდინების გაჩენა არამიზანშენილია. თუმცა, აქვე უნდა ითქვას, რომ ამ ორგანიზაციების უმაღლესი ტრიბუნების გამოყენება შედეგადად იქნება: 1) საერთაშორისო არენაზე რელევანტური ინფორმაციის გასავრცელებლად; 2) საერთაშორისო ურთიერთობის სისტემის გლობალურ და რეგიონულ მოთამაშეებში საქართველოს სასარგებლო განწყობების ფორმირებისთვის; 3) საქართველოს „მეგობარი ქვეყნების“ რიცხვის გაზრდისა და რუსეთის მმართველი ელიტის პოლიტიკურ ნებაზე გავლენის მოსახდენად.

¹⁴ The Secretariat Conflict Prevention Centre, Survey of OSCE Field Operations. (Vienna, Austria 26 August 2020), 51. <https://www.osce.org/secretariat/74783?download=true> (13.11.2020)

¹⁵ Independent International Fact-Finding Mission on the Conflict in Georgia “Report” Volume II. (September 2009), 58.

¹⁶ Svante E. Cornell and b S. Frederick Starr. The guns of August 2008 : Russia', war in Georgia. the Central Asia-Caucasus Institute & Silk Road Studies Program Joint Center, (2009), 56.

¹⁷ ახალი ამბები, „ცხინვალში დამატებითი შეიარაღების კონცენტრაციის თაობაზე გაკეთებულმა განცხადებებმა ვითარება კიდევ უფრო დაძაბა“. civil.ge (14/06/2004) <https://civil.ge/ka/archives/132478> (13.11.2020)

¹⁸ Organization for Security and Co-operation in Europe. Permanent Council. DECISION No. 883 EXTENSION OF PC DECISION No. 861 OF 19 AUGUST 2008. (12 February 2009). <https://www.osce.org/pc/36129?download=true> (13.11.2020)

¹⁹ კახა მჭედლიძე. „საქართველოში ეთოს მისია საქმიანობას წყვეტს“. რად. თავისუფლება. (31.12. 2008.) <https://www.radiotavisupleba.ge/a/1561195.html> (13.11.2020)

²⁰ Independent International Fact-Finding Mission on the Conflict in Georgia “Report” Volume II. (September 2009), 302.

საკვანძო სიტყვები:

კონფლიქტი, ომი, ორგანიზაციები, „ევთო“, „გაერო“, მოგვარება, არაეფექტური.

KEYWORDS:

Conflict, War, Organizations, OSCE, UN, Resolution, Ineffective.

ბამოყენებული ლიტერატურა

1. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა, კონფლიქტის ქრონოლოგია. <http://abkhazia.gov.ge/page/conflictCronology> (13.11.2020)
2. ახალი ამბები, „ცხინვალში დამატებითი შეიარაღების კონცენტრაციის თაობაზე გაკეთებულმა განცხადებებმა ვითარება კიდევ უფრო დაძაბა“. [civil.ge](https://civil.ge/ka/archives/132478) (14 ივნისი 2004) <https://civil.ge/ka/archives/132478> (13.11.2020)
3. მჭედლიძე კახა. „საქართველოში ევთოს მისია საქმიანობას წყვეტს“. რადიო თავისუფლება. (31.12.2008.) <https://www.radiotavisupleba.ge/a/1561195.html> (13.11.2020)
4. სენარკლენი პიერ და იოან არიფენი. საერთაშორისო პოლიტიკა თანამედროვე თეორიები და ამოცანები. მესამე გამოცემა, მთარგმნ. ნ. ცქიტიშვილი, (თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი 2014).
5. წამალაშვილი ევა, „გაეროს მისია საქართველოში საქმიანობას წყვეტს“. რადიო თავისუფლება.(ივნისი 16, 2009). <https://www.radiotavisupleba.ge/a/1755754.html> (13.11.2020).
6. Cornell E. Svante and b S. Frederick Starr. The guns of August 2008 : Russia', war in Georgia. the Central Asia-Caucasus Institute & Silk Road Studies Program Joint Center, 2009.
7. Independent International Fact-Finding Mission on the Conflict in Georgia “Report” Volume II. (September 2009).
8. Organization for Security and Co-operation in Europe. Establishment of the Personal Representative of the Chairman-in-Office for Georgia. 17th CSO Meeting, 6 November 1992, Journal No. 2, Annex 2 (6 November 1992). <https://www.osce.org/georgia-closed/22213> (13.11.2020)
9. Organization for Security and Co-operation in Europe Permanent Council. 18th Plenary Meeting PC Journal No. 18, Point 5(a). DECISION No. 38. (27 April 1995). <https://www.osce.org/pc/20254?download=true> (13.11.2020)
10. Organization for Security and Co-operation in Europe. Permanent Council. 262nd Plenary Meeting PC Journal No. 262, Agenda item 4. DECISION No. 334. (15 December 1999). <https://www.osce.org/pc/27908?download=true> (13.11.2020)
11. Organization for Security and Co-operation in Europe. Permanent Council. DECISION No. 883 EXTENSION OF PC DECISION No. 861 OF 19 AUGUST 2008. (12 February 2009). <https://www.osce.org/pc/36129?download=true> (13.11.2020)
12. The Secretariat Conflict Prevention Centre, Survey of OSCE Field Operations. (Vienna, Austria 26 August 2020), 51. <https://www.osce.org/secretariat/74783?download=true> (13.11.2020)
13. UNITED NATIONS Security Council, RESOLUTION 937 (21 July 1994) <http://unscr.com/en/resolutions/doc/937> (13.11.2020)
14. UNITED NATIONS Security Council, RESOLUTION 858 (24 August 1993) <http://unscr.com/en/resolutions/doc/858> (13.11.2020)
15. UNITED NATIONS General Assembly, UNHCR ACTIVITIES FINANCED BY VOLUNTARY FUNDS: REPORT FOR 1993-1994 AND PROPOSED PROGRAMMES AND BUDGET FOR 1995. (A/AC.96/825/ Part III/7 3 August 1994). <https://www.unhcr.org/4ddcbf119.pdf> (13.11.2020)
16. UNITED NATIONS Security Council, RESOLUTION 1866 (13 February 2009). <http://unscr.com/en/resolutions/doc/1866> (13.11.2020)

საინჟინრო ფუნქციები თავდაცვის ძალებში

ჯამბულ ზალოშვილი

სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, დოქტორანტი
სამხედრო ინჟინერიის სადოქტორო პროგრამა

ანოტაცია

სტატიაში განხილული საინჟინრო ფუნქციებისა და საბრძოლო ფუნქციების ურთიერთკავშირი სრული სპექტრის ოპერაციებში. თავდაცვის ძალების ყველა ქვედანაყოფი, მიუხედავად ტიპისა, ქმნის ან ინარჩუნებს საბრძოლო ძალას, რაც ხელს უწყობს ოპერაციების ჩატარებასა და ამოცანების წარმტებით შესრულებას. ყველა საბრძოლო ძალის ეფექტური მხარდაჭერის გასაწევად საინჟინრო შესაძლებლობები გაერთიანებულია საინჟინრო ფუნქციების მიხედვით, მათი გამოყენება კი სინქრონიზირებულია საბრძოლო ფუნქციების შესაბამისად.

ENGINEERING IN THE DEFENSE FORCES

JAMBUL ZALOSHVILI

LepI Georgian Technical University,
PHD Student Doctoral program in Military Engineering

ANNOTATION

In the full range of operations of the interconnection of engineering functions and combat functions discussed in the article. All units of the Defense Forces, regardless of type, create or maintain a combat power that facilitates the conduct of operations and the successful completion of tasks. Engineering capabilities are integrated according to engineering functions to provide effective support to all combat powers, and their use is synchronized according to combat functions.

თავდაცვის ძალებს მასზე დაკისრებული ამოცანების შესრულება უხდება უსაფრთხოების როლულ გარემოში, რომელიც ხასიათდება საფრთხეების მრავალფეროვნებითა და სტრატეგიული გარემოს სწრაფი დინამიკით. არსებული საფრთხეებსა და გამოწვევებზე დროული და ეფექტური რეაგირების მიზნით, თავდაცვის ძალების ხელმძღვანელობა მუდმივად ახდენს არსებული და საჭირო შესაძლებლობების შეფასებას და შესაბამისად წარმართავს თავდაცვის ძალების შემდგომი განვითარების პროცესის კონკრეტულ მიმართულებებსა და პრიორიტეტებს.

პროცესის წარმატებით განხორციელების მიზნით საქართველოს თავდაცვის სამინისტროში ჩამოყალიბებულია ძალთა მართვის სისტემა, რომლის ფუნქციას წარმოადგენს თავდაცვის ძალებში სტრუქტურულ ერთეულებში განსახორციელებელი ცვლილებების დაგეგმვა და მათი იმპლემენტაციისთვის საჭირო რესურსების ანალიზი. ძალთა მართვის დაგეგმვა საქართველოს თავდაცვის ძალებში უწყვეტი პროცესია, რომლის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს თავდაცვის ძალების საინჟინრო უზრუნველყოფის დაგეგმვა.

სრული სპექტრის ოპერაციები (თავდაცვითი ოპერაციები, თავდასხმითი ოპერაციები, სტაბილურობის ოპერაციები, სამოქალაქო ხელისუფლების მხარდაჭერის ოპერაციები) მოითხოვს საბრძოლო ძალის უწყვეტ შექმნასა და გამოყენებას, ხშირად ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში. თავდაცვის ძალების მეთაურები იყენებენ საბრძოლო ძალას საბრძოლო ფუნქციების მეშვეობითა და ლიდერობისა და ინფორმაციის გამოყენებით.

საინჟინრო ფუნქციებში არის ურთიერთდაკავშირებული საინჟინრო შესაძლებლობებისა და მოქმედებების კატეგორიები, რომლებიც დაჯგუფებულია, გაერთიანებული ძალების მეთაურებისთვის საინჟინრო ოპერაციების ინტეგრირების, სინქრონიზაციისა და წარმართვის გასაიოლებლად. საინჟინრო ფუნქციებია: საბრძოლო, ზოგადი და გეოსივრცული საინჟინრო უზრუნველყოფა.

თავდაცვის ძალების შემადგენლობაში მყოფი ინჟინრები მეთაურს აძლევენ რეკომენდაციებს საინჟინრო უზრუნველყოფის შესაძლებლობის შესახებ. ისინი მხარს უჭერენ ძალთა განლაგებისთვის, გადასროლისთვის, დაცვისა და უზრუნველყოფისთვის საჭირო ინფრასტრუქტურის შექმნას; საბრძოლო, ზოგადი და გეოსივრცითი საინჟინრო შესაძლებლობების დაგეგმვასა და ინტეგრირებას ეროვნული და მრავალეროვნული მოთხოვნების დაკმაყოფილების მიზნით. ინჟინრები უზრუნველყოფენ სამოქმედო რაიონების ვიზუალიზაციის გაზრდას. თავდაცვის ძალების შემადგენლობაში არსებული საინჟინრო ელემენტები, ოპერატიული მოთხოვნების შესაბამისად, კომბინირებულად იყენებენ სამხედრო-საინჟინრო სპეციალისტების, სამოქალაქო პირთა და კონტრაქტორების შესაძლებლობებს. საინჟინრო-სამშენებლო უზრუნველყოფის პროდუქტებია: თავშესაფარი, საწყობები, მომარაგების მარშრუტები და ტერმინალები, სტაციონარული დაწესებულებები, წყალი, ელექტროენერჯია, ჩამდინარე წყლების განმწმენდა, წყლისა და საწვავის შენახვა და განაწილება. მომსახურების ფარგლებში ინჟინრები ასრულებენ გარემოს დაცვის ოპერაციებს, ხანძრისგან დაცვის ღონისძიებებს, აუფეთქებელი საბრძოლო მასალის გაუვნებელყოფას, წყლის განმწმენდასა და გაუვნებელყოფას, საინჟინრო რეკონსტრუქციებს.

საბრძოლო საინჟინრო უზრუნველყოფაში გაერთიანებულია ისეთი საინჟინრო შესაძლებლობები და მოქმედებები, რომელიც ხელს უწყობს საბრძოლო ძალის მანევრს და მოითხოვს უშუალო მხარდაჭერას. საბრძოლო საინჟინრო მხარდაჭერა შეიცავს სამი ტიპის საინჟინრო შესაძლებლობებსა და მოქმედებებს-მობილურობის, კონტრმობილურობისა და სიცოცხლისუნარიანობის უზრუნველყოფას. საბრძოლო საინჟინრო მხარდაჭერა საერთო საჯარისო ქვედანაყოფების მანევრის განუყოფელი ნაწილია და ხორციელდება ქვედანაყოფების საბრძოლო ჯგუფების საშტატო და დამატებითი შესაძლებლობებით. სრული სპექტრის ოპერაციებში საბრძოლო საინჟინრო მხარდაჭერა მოგვარეობს შეიძლება გაძლიერებული იყოს ზოგადი საინჟინრო მხარდაჭერით, რადგან მისი ყურადღების ცენტრში რჩება მანევრის თავისუფლების (მობილურობა და კონტრმობილურობა) და დაცვის (სიცოცხლისუნარიანობა) უზრუნველყოფა.

ზოგადი საინჟინრო უზრუნველყოფა მოიცავს ფიზიკური გარემოს შექმნისათვის, შენარჩუნებისა და დაცვისათვის საჭირო საინჟინრო შესაძლებლობებსა და მოქმედებებს. ზოგად საინჟინრო უზრუნველყოფას მიეკუთვნება საინჟინრო ნაგებობების მოწყობა, რემონტი და ინფრასტრუქტურის მომსახურება, აგრეთვე საინჟინრო სამუშაოების მიმდინარეობისას ბუნებრივი რესურსებისა და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების საინჟინრო-სამშენებლო უსაფრთხოების უზრუნველყოფა; უძრავი ქონების საექსპლუატაციო ვადის გახანგრძლივება; რელიეფის აღდგენა და ფეთქებადსაშიშ მასალასთან დაკავშირებული განსაზღვრული მოქმედებები.

გეოსივრცითი საინჟინრო უზრუნველყოფა მოიცავს რელიეფის ანალიზსა და ვიზუალიზაციას, რელიეფის (ადგილმდებარეობის) ციფრულ გამოსახულებებს, არასტანდარტულ რუკებს, ზუსტ კვლევას, გეოსივრცითი მონაცემების მართვას, ძირითადი კვლევის შესახებ მონაცემებს,

კულტურის მნიშვნელოვანი ძეგლებისა და ბუნებრივი რესურსების იდენტიფიკაციასა და ძალის განლაგებას. გეო-სივ-რცითი მონაცემების სინქრონიზაცია მეთაურებს უზრუნველყოფს საერთო ოპერატიული სურათის შექმნის საფუძვლით, რაც ზრდის ინფორმაციულობას და ამარტივებს გადაწყვეტილების მიღების პროცესს.

როგორც აღვნიშნეთ, სრული სპექტრის ოპერაციებში თავდაცვის ძალების ყველა ქვედანაყოფი, მიუხედავად ტიპისა, ქმნის ან ინარჩუნებს საბრძოლო ძალას, რაც ხელს უწყობს ოპერაციების ჩატარებას და ამოცანის წარმატებით შესრულებას. ნებისმიერი ოპერაციის დაწყებამდე საბრძოლო ძალას არის არარელიზებული პოტენციალი. ლიდერობის მეშვეობით ეს პოტენციალი გარდაიქმნება მოქმედებად. ინფორმაცია აგრეთვე გამოიყენება ყველა საბრძოლო ფუნქციის შესრულებისას ოპერატიული გარემოს ფორმირებისა და მოქმედების სრულყოფისთვის. ყველა საბრძოლო ძალის ეფექტური მხარდაჭერის გასანევადად საინჟინრო შესაძლებლობები გაერთიანებულია საინჟინრო ფუნქციების მიხედვით, მათი გამოყენება კი სინქრონიზებულია საბრძოლო ფუნქციების შესაბამისად. საინჟინრო ფუნქციები ძირითადად მიმართულია კონკრეტულად საბრძოლო ფუნქციების მხარდასაჭერად, მაგრამ გავლენას ახდენს სხვა ფუნქციებზეც.

გადაადგილება და მანევრი


საბრძოლო ფუნქცია "გადაადგილება და მანევრი" არის ურთიერთდაკავშირებული დავალებები და სისტემები, რომლის შედეგადაც ძალები გადაადგილდება მონინალმდგესთან შედარებით უფრო ხელსაყრელი პოზიციის დასაკავებლად. პირდაპირი დამიზნების ცეცხლი მანევრის ისეთივე განუყოფელი ნაწილია, როგორც ახლო ბრძოლისა.

საბრძოლო საინჟინრო მხარდაჭერა, რომელიც ხორციელდება გადაადგილებისა და მანევრის საბრძოლო ფუნქციის მეშვეობით, გულისხმობს მობილურობისა და კონტრმობილურობის ოპერაციებს.

მობილურობის უზრუნველყოფის ოპერაციები განისაზღვრება, როგორც სამანევრო და საინჟინრო ქვედანაყოფების ძალებით დაბრკოლებების გარღვევა, არსებული ან გამაძლიერებელი დაბრკოლებების ეფექტის შემცირება ან გაუქმება.

მობილურობის ოპერაციებში შედის შემდეგი დავალებები:

- წინააღობების, დაბრკოლებებისა და დანადგომი ველების გადალახვა;
- გარღვევის ოპერაციების ჩატარება;
- განმნდის ოპერაციების ჩატარება;



ფიგ. 1 საინჟინრო და საბრძოლო ფუნქციების ურთიერთკავშირი

- რღვეულების გადალახვის ოპერაციების ჩატარება;
- გადაადგილებისა და მანევრის გაუმჯობესება;
- საბრძოლო გზებისა და ბილიკების გაჭრა და შენარჩუნება;
- ასაფრენი და დასაფრენი ზოლების აგება და შენარჩუნება;
- ტაქტიკური ოპერაციის რაიონის გადალახვა;
- მყვინთავებით მხარდაჭერის უზრუნველყოფა.

კონტრმობილურობის უზრუნველყოფის ოპერაციებზე ითვლება მოქმედებები, რომლის დროსაც, დაბრკოლებების მოწყობის გზით მცირდება მონინალმდგის მანევრულობა. კონტრმობილურობის უზრუნველყოფის ოპერაციების შედეგად ხდება მონინალმდგის მანევრირების ბლოკირება, შეზღუდვა, მიმართულების შეცვლა ან ჩანაფიქრის ჩაშლა, რაც მეთაურს საშუალებას აძლევს გამოიყენოს მონინალმდგის სუსტი მხარეები და მოახდინოს ეფექტური რეაგირება მის მოქმედებებზე.

კონტრმობილურობის ოპერაციებში შედის შემდეგი დავალებები:

- დაბრკოლებებისთვის ადგილმდებარეობის შერჩევა;
- დაბრკოლებების მოწყობა, განთავსება და აფეთქება;
- დაბრკოლებების მონიშვნა, ამის შესახებ მოხსენების გაკეთება და ჩანერა;
- დაბრკოლებების ინტეგრირების შენარჩუნება.

დაზვერვა

საბრძოლო ფუნქცია “დაზვერვა” არის ურთიერთდამოკიდებული დავალებები და სისტემები, რომლებიც აადვილებს ოპერატიული გარემოს, მონინალმდგის, ადგილის თავისებურებებისა და სამოქალაქო ფაქტორების გაგებას. მასში შედის დავალებები, რომლებიც დაკავშირებულია დაზვერვის, თვალთვალისა და რეკოგნოსციონების ოპერაციებთან და იმართება მეთაურის მიერ.

მეთაურს შეუძლია საინჟინრო შესაძლებლობების გამოყენება ვითარებაში გარკვევისათვის. ინჟინრები მთავარ როლს ასრულებენ ბრძოლის ველის სადაზვერვო მომზადების რელიეფის ანალიზის ჩატარებისას. მონინალმდგისა და საკუთარი ძალების შესაძლებლობებსა და ვრცელ სამოქმედო გეგმაზე ოპერატიული ვითარების ზემოქმედების აღწერის დამხმარე საშუალებას გეოსივრცული მონაცემებით უზრუნველყოფა წარმოადგენს.

საინჟინრო რეკოგნოსციონებას შეუძლია იმ მონაცემების უზრუნველყოფა, რომლებიც წარმოადგენენ მეთაურის მნიშვნელოვანი ინფორმაციის მოთხოვნებზე პასუხის გაცემის დამხმარე საშუალებას. უმეტესი ტაქტიკური საინჟინრო რეკოგნოსციონების შესაძლებლობები საბრძოლო საინჟინრო ფუნქციის მხარდასაჭერად იძლევა ტექნიკური ინფორმაციის შეგროვების შესაძლებლობას. მობილურობის, კონტრმობილურობისა და სიცოცხლისუნარიანობის უზრუნველყოფი მოქმედებების მხარდასაჭერად რეკოგნოსციონება უმთავრესად ტარდება საინჟინრო რეკოგნოსციონების ჯგუფების მიერ, რომლებიც შედგებიან საბრძოლო ინჟინრებისგან. რეკოგნოსციონება ამ დროს კონცენტრირებულია ტაქტიკური და ტექნიკური ინფორმაციის შეგროვებაზე, რათა შესაძლებელი გახდეს საბრძოლო ძალის საბრძოლო ჯგუფის თავისუფალი მანევრისა და საკუთარი ძალებისა და მათი დანესებულებების დაცვის უზრუნველყოფა.

უზრუნველყოფა

საბრძოლო ფუნქცია “უზრუნველყოფა” არის ურთიერთდამოკიდებული დავალებები და სისტემები მხარდაჭერისა და მომსახურების მოქმედების თავისუფლების უზრუნველსაყოფად, ოპერატიული მისაწვდომობის გასაფართოებლად და გამძლეობის გასაზრდელად. სახმელეთო ძალების გამძლეობა, ძირითადად არის მათი უზრუნველყოფის დანიშნულება. უზრუნველყოფა განსაზღვრავს სრული სპექტრის ოპერაციების სიღრმესა და ხანგრძლივობას. მას დიდი მნიშვნელობა აქვს ინიციატივის შენარჩუნებისა და გამოყენებისათვის.

ზოგადი საინჟინრო სამუშაოები გამოიყენება მთავარ ამოცანებში და საბრძოლო ფუნქციების ფარგლებში დამახასიათებელია ლოგისტიკური უზრუნველყოფისათვის. უზრუნველყოფის ზოგადი საინჟინრო მხარდაჭერა გულისხმობს შემდეგი დავალებების შესრულებას:

- დაზინანებული რაიონების აღდგენა;
- უზრუნველყოფის საკომუნიკაციო ხაზების გაყვანა და სათანადო მდგომარეობაში შენარჩუნება;
- გზებისა და გზატკეცილების გაჭრა და შენარჩუნება;
- საზღვაო აკვატორიაში ობიექტების აგება და შენარჩუნება;
- პორტების აგება და შენარჩუნება;
- სარკინიგზო ობიექტების აგება და შენარჩუნება;
- აეროდრომის აგება და შენარჩუნება;
- მილსადენებისა და სანავის სანაოსნო აგება და შენარჩუნება (ნავთობბაზა);
- სტანდარტული და არასტანდარტული ხიდების აგება და შენარჩუნება;
- საინჟინრო სამშენებლო მხარდაჭერის უზრუნველყოფა;
- ელექტროენერჯის მობილური საშუალებებით მომარაგება;
- ობიექტების საინჟინრო მხარდაჭერით უზრუნველყოფა;
- ნარჩენების ლიკვიდაციის მართვა;
- უძრავი ქონების მოპოვება, მართვა და განლაგება;
- ხანძრის ჩაქრობა;
- ბაზისა და ნაგებობების აგება, მართვა და სათანადო მდგომარეობაში შენარჩუნება.

მართვა და კონტროლი

საბრძოლო ფუნქცია “მართვა და კონტროლი” არის ურთიერთდაკავშირებული დავალებები და სისტემები, რომლებიც მეთაურებს ეხმარება უფლებამოსილებისა და ხელმძღვანელობის შესრულებაში. მასში შედის ის დავალებები, რომლებიც დაკავშირებულია საკუთარი ძალების შესახებ ინფორმაციის მოპოვებასთან, ღირებული ინფორმაციის მართვასთან, დაქვემდებარებულების მართვასა და ხელმძღვანელობასთან მართვისა და კონტროლის სისტემების მეშვეობით მეთაურები ახდენენ ყველა საბრძოლო ფუნქციის ინტეგრირებას ამოცანის შესრულების მიზნით.

გეოსივრცული მონაცემების მიმწოდებელი ინჟინრები უზრუნველყოფენ საფუძველს საერთო ოპერატიული სურათისთვის, რომელიც მეთაურს ფიზიკური გარემოს ნათლად გაგების საშუალებას აძლევს რელიეფის ვიზუალური წარმოსახვისა და საკუთარი და მონინალმდევის ოპერაციებზე მისი ზემოქმედების ახსნის მეშვეობით.

დაცვა

საბრძოლო ფუნქცია “დაცვა” არის ურთიერთდამოკიდებული დავალებები და სისტემები, რომლებიც უზრუნველყოფს ძალების შენარჩუნებას, რათა მეთაურმა შეძლოს მაქსიმალური საბრძოლო ძალის გამოყენება. ძალების შენარჩუნება ითვალისწინებს მრავალეროვნული სამხედრო და სამოქალაქო პარტნიორების პირადი შემადგენლობის (ბრძოლაში მონაწილე და არმონაწილე), მატერიალური ქონებისა და ინფორმაციის დაცვას. საბრძოლო ფუნქცია “დაცვა” აძლიერებს მეთაურის უნარს შეინარჩუნოს ძალების ერთიანობა და საბრძოლო ძალა. ფუნქცია “დაცვა” განსაზღვრავს, რა დონის ზიანის მოტანა შეუძლია პოტენციურ საფრთხეებს და წინ აღუდგება ამ საფრთხეებს ან დაძლევის მათ. დაცვა განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს მომზადების ეტაპზე და ინარჩუნებს მას შესრულების ეტაპის განმავლობაში. დაცვა არის მუდმივად

მოქმედი ფუნქცია; ის აერთიანებს დაცვის ყველა შესაძლებლობას ბაზების, მარშრუტებისა და ძალების დასაცავად.

ინჟინრებს გააჩნიათ ალტერნატივისა და პირადი შემადგენლობის უნიკალური რესურსები, რომელთა გამოყენება შესაძლებელია დაცვის ძალისხმევის უზრუნველსაყოფად. საბრძოლო ინჟინრები, რომლებიც, მოთხოვნის შესაბამისად, მხარს უჭერენ ზოგადი საინჟინრო შესაძლებლობებით, უზრუნველყოფენ სიცოცხლისუნარიანობის შენარჩუნების შერჩეულ ოპერაციებს „დაცვის“ საბრძოლო ფუნქციის მეშვეობით. სიცოცხლისუნარიანობის უზრუნველყოფის ოპერაციები აგრეთვე გულისხმობს შენიღბვის, თვალთვალისაგან დაფარვისა და შეცდომაში შეყვანის მხარდაჭერას ტაქტიკური სახმელეთო მანევრის ძალებისათვის. საბრძოლო ინჟინრები, ჩვეულებრივ, უზრუნველყოფენ „გამაგრებას“ და შენიღბვით, თვალთვალისაგან დაფარვითა და შეცდომაში შეყვანით მხარდაჭერას მანამ, სანამ ზოგადი საინჟინრო მხარდაჭერა კონცენტრირებულია იმ ასპექტებზე, რომლებიც არ არის დაკავშირებული უახლოეს ბრძოლასთან. ზოგადი საინჟინრო მხარდაჭერა ხორციელდება „დაცვის“ საბრძოლო ფუნქციის მეშვეობით დაბინძურებისა და საშიში მასალებისაგან დაცვის მიზნით. სიცოცხლისუნარიანობის უზრუნველყოფის ოპერაციებში შედის შემდეგი საინჟინრო დავალებები:

- ოპერაციის რაიონში მონინალმდევის მიერ შექმნილი საფრთხეებისგან დაცვა;
- მანქანებისთვის საბრძოლო პოზიციების, ჯგუფური იარაღისათვის საბრძოლო პოზიციებისა და ინდივიდუალური საბრძოლო პოზიციების მონყობა;
- დამცავი მიწის კედლების, მიწყრილებისა და საყრდენი კედლების მონყობა;
- სარძოლო მასალის დამცავი პოზიციების მონყობა;
- დამცავი ღობურების მონყობა;
- ხიდის დამცავი მონყობილობების დამონტაჟება არსებული მოტივტივე ხიდის ან მდინარის გადაკვეთის ადგილის წყალში აფეთქებების შემსრულებელი ჯგუფებისგან, მცურავი ნაღმებისა და მოტივტივე ნამსხვრევებისგან დასაცავად;
- დამცავი დაბრკოლებების დამონტაჟება ან მოხსნა;
- მოქმედებების შესრულება დაბინძურებისა და საშიში მასალებისგან დასაცავად.

სრული სპექტრის ოპერაციების ჩატარების დროს მთავარი საკითხია სიცოცხლისუნარიანობის შენარჩუნება. ყველა საბრძოლო ძალის ეფექტურად გამოყენების მიზნით მნიშვნელოვანია მეთაურებმა მოახდინონ საინჟინრო ფუნქციებისა და საბრძოლო ფუნქციების სინქრონიზაცია, რათა წარმატებით შესრულდეს ამოცანა.

გამოყენებული ლიტერატურა

1. FM 3-0 Operations. Headquarters Department of the Army. Washington, DC, 6 October 2017
2. FM 4-0 Sustainment Operations. Headquarters Department of the Army. Washington, DC, 31 July 2019
3. FM 3-34.22 Engineer Operations-Brigade Combat Team and Below. Headquarters Department of the Army. Washington, DC, 11 February 2009
4. FM 3-90 Tactics. Headquarters Department of the Army. Washington, DC, 4 July 2001
5. FM 2-0 Intelligence. Headquarters Department of the Army. Washington, DC, 17 May 2004
6. FM-6-0 Commander and Staff Organization and Operations. Headquarters Department of the Army. Washington, DC, 5 May 2014
7. FM 3-37 Protection. Headquarters Department of the Army. Washington, DC, 30 September 2009

THE IMPACT OF HYBRID WARFARE ON GEORGIA'S SECURITY POLICY

LIEUTENANT COLONEL KAKHABER KAVLASHVILI
David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia

ANNOTATION

Hybrid warfare has become a new term to define the changing nature of conflicts, which is not surprising given the fact that this type of warfare is both visible and invisible or it is very hard to foresee in advance. The more important aspect is that this changing nature of warfare has become a reality rather than just a concept. Today, we see that the number of conflicts that do not fit the understanding of the conventional warfare has increased significantly.

If we analyse concept of Russia's behaviour model, which is included in the "Gerasimov Doctrine" that was published as an article in the famous Russian Defence Journal by the Chief of the General Staff of the Armed Forces of Russia Valery Gerasimov, highlights the decreased usage of military means in achieve the political objectives of warfare. This main characterising of hybrid warfare, when non-military means play vital role in achieving strategic objectives, is directed towards weakening the foundation of the state in order for the adversary not to require to use any military means. There are several reasons that make the hybrid warfare carried out by Russia against its neighbouring countries different but these reasons do not include the use of combination of regular and irregular means, which have often been used throughout the history.

First and foremost, Russia's hybrid warfare is characterised by the blurred line between War and Peace. Blurring the lines between war and peace gives Russia an opportunity to "disrupt and destroy the state without direct, open and full-scale military interventions." Second, in hybrid warfare non-military means play as important role as military.

